ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 10 მარტი, 2020 №58 (8322) ფასი: 60 თეთრი

29 წლის საბა თათეშვილი 45 წლის ვალერი შარტანოვის მკვლელობისთვისაა დაკავებული

გვ.5

რა მოხდა პაბლო პიკასოს ქუჩაზე

10 მარტიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



სალომე ზურაბიშვილი: „გიგი უგულავას შევიწყალებ, თუ ამას საჭიროდ ჩავთვლი“

გვ.2

„თუ ოქრუაშვილს, უგულავას, რურუასა და თამლიანს არ გამოუშვებენ, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ“

გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილს უნდა დავანახოთ ხალხის ძალა, რათა ვერ გაბედოს არჩევნების გაყალბება“

გვ.3

მამუკა მდინარაძე: „არც კი ვუშვებ, რომ კოალიციის შექმნის საჭიროება დადგეს“

გვ.2

ჩუგოშვილი: „თუ „ოცნებას“ თვითგანადგურება არ სურს, ცვლილებები გავა“

გვ.2

გვ.2

მარგველაშვილი მაჟორიტარობას არ აპირებს

„ოცნება“ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებს“

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილის გარეშე ეს შეთანხმება ვერ შედგებოდა“

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია საერთო კანდიდატებზე უნდა შეთანხმდეს“

გვ.3

გვ.2

„მძიმე შეხება მეგობართან, რომელსაც კორონავირუსი აღმოაჩნდა“

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე თვითიზოლაციაში იმყოფება

ISSN 1987-9385

2 კორონავირუსით ინფიცირებული 1 პირის მდგომარეობა კვლავ მძიმეა

4 კორონავირუსის გამო, განათლების სამინისტრომ შესაძლოა, ონლაინ სწავლების სტანდარტზე მუშაობა დაიწყოს

5 გაგი მოსიაშვილი: „მოწმეების ჩვენებები ჩოლოიანის უდანაშაულობას აღასტურებს“

6 ჩინეთი უხანის პროვინციაში 11 კლინიკას ხურავს

სალომე ზურაბიშვილი: „გიგი უგულავას შევიწყალებ, თუ ამას საჭიროდ ჩავთვლი“

– თუ მე ჩავთვლი, რომ შეწყალება უნდა შედგეს, იქნება მიღებული შეწყალების აქტი.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას შეწყალების შესაძლებლობაზე დასმულ კითხვას უპასუხა.

ზურაბიშვილის განცხადებით, „შეწყალება ექვემდებარება წესებს, რომლებიც მიღებული იქნა ამ წელს და რაც არ უნდა იყოს მოთხოვნა, რომელიც შემოვა, იქნება განხილული ამ წესების მიხედვით“.

– ყველა მოთხოვნას წავიკითხავ, ვნახავ, გავეცნობი. თუ მე ჩავთვლი, რომ შეწყალება უნდა შედგეს, იქნება მიღებული შეწყალების აქტი. არ არსებობს ამ ქვეყანაში ცალკე ადამიანები, რომლებზეც ვრცელდება ცალკე რეგულაციები. ყველა მოქალაქისთვის არის იგივე რეგულაცია და ყველა მოქალაქემ ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მიმართოს პრეზიდენტს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„ახალი საქართველოს“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმებით, გიგი უგულავამ სასჯელაღსრულების დაწესებულება პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე უნდა დატოვოს. როგორც ვაშაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ უგულავას გასათავისუფლებლად „პრეზიდენტის ინსტიტუციის მექანიზმის გამოყენება უნდა მოხდეს“.

მისივე განმარტებით, ხელისუფლებასთან მიღწეულ შეთანხმებაში საუბარია ასევე, ირაკლი ოქრუაშვილის, გიორგი რურუას და ბესიკ თამლიანის საკითხზეც, რომელთა გასათავისუფლებლად სხვა მექანიზმი უნდა ამოქმედდეს, მათ შორის, შესაძლოა, იყოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლა.

მამუკა მდინარაძე: „არც კი ვუშვებ, რომ კოალიციის შექმნის საჭიროება დადგეს“

– არც კი ვუშვებ, რომ კოალიციის შექმნის საჭიროება დადგეს.

ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტების კითხვას, შესაძლოა თუ არა, რომ „ქართულ

ოცნებას“ 2020 წლის არჩევნების შემდეგ, მთავრობის დასაკომპლექტებლად კოალიციის შექმნა დასჭირდეს.

მდინარაძის განცხადებით, მმართველი პარტიის მხარდაჭერა 50%-ს გადასცდება.

– ამ მოდელში არის შესაძლებლობა, რომ 41%-იანი მხარდაჭერიდან დაწყებული, თუ შესაბამის სამაჟორიტარო ოლქებშიც გაიმარჯვებს პარტია, ამ შემთხვევაში მას კოალიციის შექმნის საჭიროება ნამდვილად არ აქვს. აქედან გამომდინარე, არა თუ 40%-ს, არამედ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნებში 50%-საც გადავცდებით. ამიტომ კოალიციაზე საუბარი საერთოდ არ იქნება რელევანტური.

დამიჯერეთ, „ქართული ოცნების“ გამარჯვება იმდენად მყარი იქნება, რომ ის დააკომპლექტებს არა მყიფე უმრავლესობას, არამედ მყარს და მასში იქნება იმდენი დეპუტატი, რომ არანაირი კოალიციის შექმნის საჭიროება დღის წესრიგში არ დადგება, – განაცხადა მდინარაძემ.

მან გიგი უგულავაზეც ისაუბრა.

– როგორც ჩანს, ოპოზიციას გიგი უგულავას წინაშე გარკვეული ვალდებულებები აქვთ და იმისთვის, რომ გიგი უგულავა მოატყუონ, მთელ საზოგადოებას ატყუებენ, – განაცხადა მან.

მისი თქმით, შეთანხმებაში ყველაფერი შავით თეთრზე წერია, ხოლო ყველაფერი დანარჩენი იმის იქით სპეკულაციაა.

– ერთმანეთთან დალაგდნენ, ერთმანეთში გაერკვნენ და საზოგადოების მოტყუებას თავი დაანებონ. ისინი, როგორც ჩანს, მხარდამჭერების წინაშე თავს იმართლებენ და არ ყოფნით ძალა თქვან, რომ შეთანხმება შედგა.

თუ რამე ვალდებულებები გააჩნიათ თავისი თანაგუნდელის წინაშე და რამეს ჰპირდებოდნენ, რომ შეთანხმებაში მის გარეშე არაფერი იქნებოდა მიღწეული, ეს ერთმანეთში გაარკვიონ.

დოკუმენტებში აისახა იმის გარანტია, რომ პოლიტიკოსები არ უნდა ჩაერიონ მართლმსაჯულებაში. ისინი ამბობენ პირიქით. მართლა რომ ვინმე გაგიუებულიყო და არავინ გაგიუებულა დამერწმუნეთ, მათ არ უნდა გაემეორებინათ ეს. სახელმწიფოში ილაპარაკო იმაზე, პოლიტიკოსები შეჰპირდნენ, რომ მართლმსაჯულებას ასე გადააწყვეტინებენ, იმდენად არასერიოზულია, რომ ამას არც დიპლომატები გაიმეორებენ, რადგან ტყუილია და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეწინააღმდეგება.

არაფერში ჩარევას არ ვაპირებთ. პროკურატურა თავის საქმეს მიხედავს, პრეზიდენტი თავისას, მართლმსაჯულება თავისას, ჩვენ ჩვენსას და შეთანხმების აღსრულებაზე ვიზრუნებთ, რაც შედგა და რის გამოც, როგორც ჩანს, ოპოზიციას თავის ამომრჩეველთან და უგულავასთან უხერხულობა შეექმნა, – დასძინა მამუკა მდინარაძემ.

მარგველაშვილი მაჟორიტარობას არ აპირებს

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი ადასტურებს, რომ პოლიტიკაში აქტიურად იქნება ჩართული, თუმცა, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს, როგორ და რა ფორმით იქნება წარმოდგენილი.

მან უკვე უარყო ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ის იყოს კანდიდატი რომელიმე მაჟორიტარულ ოლქში.

– მჯერა, რომ ოპოზიციური ერთობა ჩამოყალიბდება მაჟორიტარობაზე მთლიანად. მე ვერ ვხედავ ჩემს თავს მაჟორიტარად. მე მინდა უფრო გლობალურ პროცესში შევიტანო ის დეტალები, რომელზეც მქონდა ლაპარაკი. მე რომ მაჟორიტარად ვიყარო კენჭი, ეს ნიშნავს, რომ იმ უბანში ვიქნები ჩაკეტილი. ჩემი მიზანია, საქართველოში შედგეს მრავალპარტიული დემოკრატია, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, შეთანხმების არც ერთი პირობა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შედგა, არ უნდა დაირღვეს. თუკი შეთანხმება დაირღვევა, ეს კატასტროფის მომტანი იქნება.

– ისეთი ავტორიტეტი ჩამოაყალიბა „ქართულმა ოცნებამ“ თავის თავზე, რომ სიტყვაზე უბრალოდ ვერ ენდობი. ძალიან სამარცხვინოა ამის თქმა, მაგრამ ამის თქმა შემიძლია. არიან ადამიანები, რომლებიც არიან თაღლითები, მაგრამ თაღლითებსაც გააჩნიათ რეალობის განცდა. ახლა კიდევ ერთხელ რაღაც ტრიუკი, უკვე, მგონი, კატასტროფას დააყენებს.

როგორ შეიძლება ნორმალური საარჩევნო გარემო იყოს იმ ქვეყანაში, სადაც პერიოდულად პოლიტიკოსებს ან იჭერენ, ან მათზე საქმეს აღძრავენ, ან მუდმივად ისინი არიან შანტაჟის ობიექტები. მიღწეულია ის, რომ ამ ადამიანებმა უნდა დატოვონ ციხე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ჩუგოშვილი: „თუ „ოცნებას“ თვითგანადგურება არ სურს, ცვლილებები გავა“

ფრაქცია დამოუკიდებელი დეპუტატების წევრი თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ თუ ხელისუფლებას თვითგანადგურება არა აქვს დაგეგმილი, საარჩევნო ცვლილებები, რაზეც ოპოზიციას შეუთანხმდა, არ უნდა ჩაადგდოს.

– უნდობლობის პრობლემა აქვს ხელისუფლებას. თვითგანადგურება თუ არ აქვთ დაგეგმილი, მაშინ ამ შეთანხმებიდან უკანდახევა ვერ წარმომიდგენია. 149 დეპუტატიდან ფაქტობრივად უდიდესმა ნაწილმა დავაფიქსირეთ წერილობით მზაობა, რომ ეს ცვლილებები გავიდეს. კენჭისყრაზე სამჯერ გვჭირდება 113 დეპუტატი იმისთვის, რომ ცვლილება გავიდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ 40 პირიც რომ იყოს წინააღმდეგი, მაინც იქნება გატანის შესაძლებლობა. თუ ორგანიზებული, ორკესტრირებული ჩაგდება არ იქნება დადგმული, როგორც ეს მოხდა წინაზე, ცვლილება გავა, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

კორონავირუსით ინფიცირებული 1 პირის მდგომარეობა კვლავ მძიმეა

ფილტვების ანთება კიდევ 3 პაციენტს აღენიშნება

ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, გუშინ, 9 მარტს, 21 პაციენტის ანალიზების პასუხი მიიღეს, რომელთა შედეგებიც უარყოფითია.

მისივე თქმით, ლაბორატორიიდან კიდევ 8-9 პაციენტის ანალიზის პასუხებს ელოდებიან.

როგორც თენგიზ ცერცვაძემ აღნიშნა, ინფიცირებული 1 პაციენტის მდგომარეობა ისევ მძიმე რჩება და კიდევ 3 პაციენტს აღენიშნება ორმხრივი ფილტვების ანთება, თუმცა, მისივე თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– ჩვენთან ამ მომენტში იმყოფება 42 პაციენტი, 21 პაციენტის გამოსაკვლევი მასალა იყო გაგზავნილი ლუგარში. მოვიდა ყველაზე უარყოფითი პასუხი და ჩვენთან არც ერთი ინფიცირებული არ დამატებულა. დაახლოებით 8-9 პაციენტის ანალიზები აღებულია და იქნება გვიან ღამით ან ხვალ დილით.

რაც შეეხება ინფიცირებულთა მთლიან რაოდენობას, მას არ დამატებია, სულ არის 14 ინფიცირებული პაციენტი ჩვენთან და კიდევ 1 არის საჩხერეში. საჩხერეში მყოფი პაციენტის მდგომარეობა კარგია, არავითარი ჩივილი არ აქვს, ჩვენ გვაქვს მუდმივი კონსულტაცია.

1 პაციენტი, რომელიც შედარებით მძიმედაა, რჩება ამ მდგომარეობაში და მას უტარდება სერიოზული მკურნალობა, თუმცა ჯერჯერობით ინტენსიური თერაპია არ დასჭირვებია, რადგან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები დარღვეული არ არის და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. კიდევ 3 პაციენტს აღენიშნება ორმხრივი ფილტვების ანთება, მათგან ერთის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო 2 პიროვნებას აქვს საშუალო ტიპის მდგომარეობა, რომელიც არ არის დაკავშირებული რაიმე საფრთხესთან და სრულიად კონტროლირებადია, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის პოსტი თეიმურაზ ნაჭყებიამ დაიკავა. მანამდე თეიმურაზ ნაჭყებია საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელი იყო.

თეიმურაზ ნაჭყებიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ბოლო წლებში მას საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციები ეკავა.

ასევე უწყებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელის თანამდებობა რევაზ ბაღაშვილმა დაიკავა. აღნიშნული პოზიციის დაკავებამდე, რევაზ ბაღაშვილი საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

„ეს ტანსაცმელი ეკუთვნოდა ადამიანს, ვინც ... ...“

„ეს ... ...“

„ეს ... ...“

„ეს

„თუ ოქრუაშვილს, უგულავას, რურუასა და თამლიანს არ გამოუშვებენ, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ“

გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილს უნდა დავანახოთ ხალხის ძალა, რათა ვერ გაბედოს არჩევნების გაყალბება“

იაგო ნაცვლიშვილი

ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმების მიუხედავად, „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ პოლიტპატიმრების თაობაზე შეთანხმება არ მომხდარა. ოპოზიციაში კი ხაზგასმით ამბობენ, რომ მკაფიოდ ითქვა, თითქოს ეს იყო ერთ-ერთი მთავარი თემა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მიღწეული შეთანხმება ისევ ჩიხში შევიდეს, რა რეაგირება ექნებათ თუ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებენ და დევნას არ შეაჩერებენ და ძალაშია თუ არა 4 აპრილის აქცია, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე.**

– გილოცავთ მიღწეულ შეთანხმებას, მაგრამ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ პოლიტპატიმრებზე ჩანაწერი არ არსებობს, ოპოზიციის წევრები პირიქით საუბრობთ. რა წერია დოკუმენტში?

– მადლობა მოლოცვისთვის, მაგრამ მე უფრო თავშეკავებული ვიქნები, იმიტომ, რომ თვითონ „ქართული ოცნების“ ეს უტიფარი ტყუილები, თითქოს შეთანხმების ნაწილი არ არის ეს პოლიტპატიმრების გამოშვება და დევნის შეწყვეტა, ეს მეტყველებს იმაზე, რომ იტოვებენ გზას, რომ უკვე მეორედ მოატყუონ როგორც ქართველი საზოგადოება, ისე პირდაპირ და უტიფრად ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც და გადააგდონ.

– ანუ მოლოდინი გაქვთ, რომ შესაძლოა ეს შეთანხმებაც ჩააგდონ?

– დიახ. ხომ ხედავთ, ლაპარაკობენ, რომ არ არის შეთანხმებაო, მაშინ როდესაც არის. მარტივ რაღაცას გეუბნებით, თუკი კონკრეტულად არ გამოუშვებენ თამლიანს, ოქრუაშვილს, უგულავასა და რურუას კენჭისყრამდე, მაშინ არანაირ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს ოპოზიცია. მორჩა!

ვერ ვხვდები, ამ მართლა უტვინოების საქციელი საითკენ არის მიმართული, რადგან ძალიან მალე გაირკვევა. ასევე უნდა შეწყდეს დევნა, მათ შორის ნიკა მელიასა და ნიკა გვარამიასთან მიმართებაში. ეს ყველაფერი ძალიან ნათელი და მკაფიო უნდა იყოს. თუ ეს არ მოხდება, ყველაფერი დაბრუნდება 8 მარტამდე არსებულ მდგომარეობამდე. რა სცენარით მუშაობისთვისაც მაშინ ვიყავით მზად, ახლაც ვართ მზად. ანუ ივანიშვილი მიდის ბოლომდე გამწვავებაზე და არჩევნები ტარდება 77/73-ზე. იქაც აუცილებლად მოვუგებთ.

ასეთმა მატყუარა ადამიანებმა, რომლებმაც ქვეყანა დააბეჩავეს, ეკონომიკურად დააქციეს, კორუფცია დააბრუნეს და კრიმინალი აღაზევეს, ხოლო საერთაშორისო არენაზე ჩვენი პოზიციები საერთოდ დაანგრიეს და ყველა მიმართულებით უკან-უკან მივდივართ, ასეთ მატყუარებს საზოგადოება მხარს ნამდვილად არ დაუჭერს. არ ვამბობ იმას, რომ ყველა იმედგაცრუებული ადამიანი დაირაზმება და ყველა ნაციონალურ მოძრაობას მისცემს ხმას, მაგრამ არის სხვა პარტიები, რომლებიც პროდასავლურად არიან განწყობილი და ეს ხმები იქ გადანაწილდება. რა თქმა უნდა, ჩვენც ბევრი მოგვცემს ხმას, რადგან ძალიან ბევრმა დაინახა განსხვავება, იმ მართლა აყვავების ხანის 9 წელსა და ამ 8 წელს შორის. რა თქმა უნდა, მაშინაც გვქონდა ბევრი შეცდომა და ამაზე ბევრჯერ გვაქვს ნალაპარაკები, მათ შორის თქვენთან საუბრის დროსაც. თუმცა, ეს 8 წელი არის საქართველოს დანგრევისა და დეგრადაციის პერიოდი.

ასე რომ, რას ბჟუტურებენ ესენი ასე ნირწამხდალები და როგორ ცდილობენ თავისი ამომრჩევლის მოტყუებას, ეს ცოტა გაუგებარია ჩემთვის. ხომ გამოჩნდება ეს ძალიან მალე, დღეების საკითხია. კენჭისყრამდე ეს საკითხები მოგვარებული უნდა იყოს. თან ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ თვითონ უნდოდათ ასე. მაშინ თუ ასე გინდოდათ, თქვე დალოცვილებო, გაგიკეთებინათ ასე და არ დაგეჭირათ ეს ხალხი. ახლა იძახიან, არ არის ეს შეთანხმების ნაწილიო და ამის გაკეთება როდესაც მოუწევთ, მაშინ რას იტყვიან?!

– თავის ამომრჩეველს ხომ არ ატყუებენ?

– ზუსტად მაგას ვამბობ, რომ თავის ამომრჩეველს აგულიანებენ, რომ აი, ჩვენ კი არ წავაგეთ, არამედ ასე გვინდაო, მაგრამ როცა გამოუშვებენ იმ ხალხს, მერე რაღას იტყვიან?! თუ არ გამოუშვებენ, 8 მარტამდე მდგომარეობას დაუბრუნდება ყველაფერი და აუცილებლად დავამარცხებთ იმ სისტემითაც. კიდევ უფრო მწარედ. ეს უტიფრობა მათ წინააღმდეგ უფრო იმოქმედებს, ვიდრე უპირატესობა 73 მაჟორიტარის სახით.

ახლა, როცა თავის ამომრჩეველს ატყუებენ, ეს არის ყოვლად სამარცხვინო საქციელი და თავისი ამომრჩევლის შეურაცხყოფა. ცდილობენ, რომ რაღაცა საკენკი გადაუყარონ, თითქოს მათ ეს უნდა აკენკონ. მათ მიიღეს პირველი მარცხი და ახლა მათზეა დამოკიდებული, ღირსეულად შეხვდებიან ამ მარცხს თუ თავს ისევ გაიბითურებენ და გაიმაიმუნებენ.

– რაც შეეხება მაჟორიტარების სხვანაირად გადანაწილების საკითხს, ამაზეც მიაღწიეთ შეთანხმებას? იყო საუბარი, რომ „ოცნებას“ უნდოდა თბილისში 5 ოლქის დატოვება და არასამართლიანი წესით გადანაწილება. ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

– ამ საკითხზეც მკაფიოდ ითქვა გუშინ, რომ შეთანხმება მიღწეულია. სამი კომპონენტისგან შედგება ეს შეთანხმება. პირველი ეს არის პოლიტპატიმრების თემა, მეორე – 120/30-ზე შეთანხმება, ხოლო მესამე – ოლქების თანაზომიერად გადანაწილება. ამ 30 მაჟორიტარიდან 3-ზე შეიძლება გამონაკლისის დაშვება, რაც ეხება მაღალმთიან რეგიონებს და ეთნიკურ უმცირესობებს. სამ შემთხვევაში შეიძლება იყოს დისბალანსი, დანარჩენი ყველა უნდა იყოს ვენეციის კომისიის, ეუთო/ოდირისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომ თანაზომადი უნდა იყოს ყველა ოლქი. ასე ვერ იქნება, რომ სადღაც 20 000 ამომრჩეველი იყოს და სადღაც 200 000. შესაბამისად, თბილისში 5 ოლქი ვერანაირად ვერ დარჩება. უნდა იყოს 7-8.



– გაერთიანებული ოპოზიციის სუბიექტმა, რომელიც ამავე დროს „ძალა ერთობაშია“-ს წევრიცაა, მოგმართათ ყოფილი ხელისუფლების წევრებს, ბურჯანაძისა და მისი ვაჟის 2011 წლის ჩანაწერები სამოქალაქო ომზე, რომ ეს არის ფალსიფიცირებული ჩანაწერი თუ აუთენტურია. თუ ფალსიფიცირებულია, თქვენ გეკისრებათ, თუ არ არის და ვიცით, რომ არ არის, მაშინ რატომ ცდილობთ მის რეაბილიტაციასო. რა პასუხი გაქვთ?

– ძალიან მარტივი პასუხია და დიდი ხანია ამაზე ვსაუბრობთ, რომ იქ ვინც ზის, იმ მაგიდასთან, რომ ჩვენ ერთმანეთს შევურიგდით და ადრე არ მოგვწონდა ერთმანეთი და ახლა მოგვწონს, ერთმანეთთან კოალიციაში შევდივართ. ნათელია, რასთან დაკავშირებითაც არის ერთობა. ერთმანეთთან დიამეტრიულად განსხვავებული პარტიები რომ შეიკრიბნენ, მათ შორის იდეოლოგიური თვალსაზრისითაც და ყველა სხვა პარამეტრითაც, ამით არის უნიკალური ეს შეხვედრა, რადგანაც ყველას ყელში ამოუვიდა ივანიშვილის მავნებლობა.

– თუმცა სამომავლოდ თემატურ თანამშრომლობაზეც არის საუბარი.

– თემატურზე იმათთან, ვისთანაც გვაქვს თემატური გადაკვეთა. ეს არ გულისხმობს, რომ ყველასთან იქნება.

– ბურჯანაძესთან თემატური თანამშრომლობა არ იქნება?

– არ ვიცი. თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო იქნება ვიღაცის ხმა, შესაძლებელია. მაგალითად, ქვეყნის დეოკუპაციის შესახებ რაღაც რეზოლუციის მიღებას და მე რომ მკითხონ, მინდა თუ არა ყველამ მისცეს მას ხმა, ვისურვებდი, რომ ყველამ მისცეს ხმა და ა.შ.

– მკაფიო პასუხი არ გაქვთ, იქნება თუ არა ბურჯანაძესთან თანამშრომლობა?

– მკაფიოდ გპასუხობთ. როდესაც იქნება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, ქვეყნის დეოკუპაციაზე, სადაც პარლამენტის ერთსულოვნებაა საჭირო და მინდა თუ არა, რომ იქ ბურჯანაძეც იყოს მხარდამჭერი, ინაშვილიც, ივანიშვილი ან მისი პარტიის მხარდამჭერები როგორც ოპოზიცია, მე ასეთ გადაწყვეტილებებზე პარლამენტის ერთსულოვნებას ვისურვებდი. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ან რა პრეტენზიებიც გვქონდა ერთმანეთის მიმართ, ის აღარ გვაქვს. ეს არის ცალკეულ საკითხებზე თემატური თანამშრომლობა.

ამ წუთას არის თემატური თანამშრომლობა ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაა მშვიდობიანად, არჩევნების გზით. ეს ნიშნავს, რომ მას აღარ მიეცეს მოპარული ფულის შავად გამოყენების საშუალება, კრიმინალური სამყაროს, ქუჩის ე. წ. ნასეტკების გამოყენების საშუალება არ მივცეთ. ასევე არ მივცეთ სუს-ის, პროკურატურის, სასამართლოს გამოყენება. მოსყიდვები, სხვადასხვა ფალსიფიცირების საშუალება არ მივცეთ და ა.შ. ამ საკითხში ვინც ჩვენ გვეთანხმება და ვისაც ჩვენ ვეთანხმებით, ვთანამშრომლობთ. ამ შემთხვევაში იმ საფრთხეზე არ არის მსჯელობა, რაც ჩვენ გვასხვავებს. რა პრობლემები და განსხვავებებიც გვქონდა, ეს, ბუნებრივია, რჩება. რა ზღვარიც არსებობდა, ის რჩება და ეს თანამშრომლობა არ ნიშნავს იმ ზღვრის არათუ წაშლას, არამედ შერბილებაც არ მომხდარა. ამ საკითხებზე დისკუსია გაგრძელდება, რაც გვქონდა წლების განმავლობაში.

– თუ ეს შეთანხმებები შესრულდება, რჩება თუ არა ძალაში 4 აპრილის აქცია?

– აქ ორი ასპექტია. ერთზე ჩვენ ნასაუბრები გვქონდა და ეს უკავშირდება კორონავირუსს. არ გამოვრიცხავთ, რომ, სამწუხაროდ, ამან უფრო მძიმე ხასიათი მიიღოს და ამ ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლოა გადავდოთ.

რაც შეეხება ამ შეთანხმებას, თუ მან ჰპოვა ლოგიკური დასასრული, მაშინ შესაძლოა ამ თარიღმა გადაიწიოს. მაგრამ არ მგონია, რომ ამგვარი მოქმედებები საერთოდ ამოვარდეს დღის წესრიგიდან. პირიქით, საჭიროა შეკრება 1-2-ჯერ იმისათვის, რომ ივანიშვილს დავანახოთ ჩვენი ძალა. ასევე მოყვარესაც, საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, იმისათვის, თუ როგორ არის ქართული საზოგადოება განწყობილი საბრძოლველად. რა თქმა უნდა, საუბარი მშვიდობიან აქციაზეა. აქ საუბარია განწყობაზე, რომ ჩვენი მოქალაქეები ერთიანები ვართ დარაზმულები ამ რეჟიმის შესაცვლელად.

ამასთანავე ეს არჩევნები ჩვენ არჩევნებამდე უნდა მოვიგოთ, დავანახოთ ივანიშვილს ხალხის ძალა, რათა მას ხელ-ფეხი შევუკრათ იმისათვის, რომ მანიპულაციები არ გაბედოს და არ გამოიყენოს ის მეთოდები, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და არ გააყალბოს არჩევნები. ჩვენ ორგანიზებულად ვმუშაობთ, რომ აღვრიცხოთ ხალხი, ვინ არიან ქვეყნიდან გასულები, არ გამოიყენონ გაყალბებული პირადობის მოწმობებით ეს გასაყალბებლად. ასევე ვმუშაობთ სახის ამომცნობ სისტემაზე, რომ ვერ შეძლონ სხვისი დოკუმენტებით არჩევნებში მონაწილეობა, ან ორჯერ მონაწილეობა ხმის მისაცემად და ა. შ. ასევე ვმუშაობთ დამკვირვებელთა არმიის ჩამოყალიბებაზე, რათა ყველა უბანზე გვყავდეს დამკვირვებლები, რომლებიც არ დაუშვებენ გაყალბებებს, მოსყიდვებს და ა. შ.

ეს საკითხი არ იხსნება დღის წესრიგიდან, უბრალოდ, 4 აპრილს აქციის გამართვის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს ოპოზიციური ერთობა ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით.

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია საერთო კანდიდატებზე უნდა შეთანხმდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმება რამდენად შესრულდება და თუ შეიძლება კვლავ დღის წესრიგში დადგეს მაჟორიტარების ამბოხის საკითხი?

– შეთანხმების მიღწევა ძალიან კარგია, რადგან ეს იქნება წინაპირობა პოლიტიკური პროცესების და არჩევნების სტაბილურ გარემოში ჩატარების. ამ შემთხვევაში კომპრომისზე წავიდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. მთელი პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ პოზიტიურად გამოჩნდა. ეს ნამდვილად არის მიღწევა. ცუდია ის, რომ შეთანხმების მისაღწევად პარტნიორი ქვეყნების ჩარევა გახდა საჭირო და ეს ნაბიჯი ჩვენ ვერ გადავდგით.

რაც შეეხება იმას, ნამდვილად შესრულდება თუ არა შეთანხმება და შევა თუ არა შესწორება კონსტიტუციაში, ეს საკითხი იდგება მანამ, სანამ სამი მოსმენით არ გავა პარლამენტში კანონპროექტი. თუმცა, ამჯერად შეთანხმება ალბათ შესრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელისუფლებას ძალიან ძვირი დაუჯდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

– მაჟორიტარული ოლქების გადანაწილებაა ახლა მნიშვნელოვანი საკითხი. საუბარია თბილისში 8 მაჟორიტარულ ოლქზე. ოპოზიციას ამ შემთხვევაშიც მოუწევს შეთანხმება საერთო კანდიდატებზე?

– თუ ოპოზიცია საერთო კანდიდატებზე შეთანხმდება, ეს ძალიან კარგი იქნება. 30 მანდატი არ არის ცოტა. ამიტომ, შეთანხმება კარგი იქნება და ეს ოპოზიციას გარკვეულ გარანტიებს მისცემს. ამით უფრო ძლიერად დაუპირისპირდებიან ხელისუფლებას. ამაზე კონსულტაციები უნდა დაიწყონ. თუმცა, ჯერ ადრეა, რადგან საბოლოოდ უნდა გამოიკვეთოს ოლქების რაოდენობა.

– გიორგი მარგველაშვილი უკვე ოპოზიციასთან ერთად გამოჩნდა ლეიბორისტების ოფისში. ის შეიძლება ერთ-ერთი ასეთი შეთანხმებული კანდიდატი იყოს?

– ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. თუმცა, საინტერესოა, რაზე მოხდება შეთანხმება, მაგალითად, რა იქნება არჩევნების შემდეგ? გამარჯვების შემთხვევაში ის იქნება თავისუფალი მანდატის მქონე გამარჯვებული მაჟორიტარი თუ ოპოზიციის მხრიდან გარკვეული ვალდებულებებით და პასუხისმგებლობით დატვირთული? ეს მნიშვნელოვანი შეთანხმების საგანია. არ გამოვრიცხავ, ამ შეთანხმებაზეც იყოს მარგველაშვილის გადაწყვეტილება დამოკიდებული.

– ამ საკონსტიტუციო ცვლილებების შემთხვევაში კოალიციური მთავრობა მართლაც რეალობაა თუ, როგორც არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, კოალიციური მთავრობა გამორიცხულია?

– ეს არის ხელისუფლების სათქმელი და ეს არის გაკეთებული განცხადება მხარდამჭერებისთვის. სხვანაირად არც ოპოზიცია ლაპარაკობს. ოპოზიციაც ამბობს, რომ აუცილებლად დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“ და თვითონ მოვა კოალიციური მთავრობით.

ჯერჯერობით ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი, ვინ გაიმარჯვებს და როგორ გაიმარჯვებს. ძალიან დიდი დროა არჩევნებამდე, რომ უკვე მთავრობა დავაკომპლექტოთ. ჯერ პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზეა. კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება და საარჩევნო ოლქები უნდა ჩამოყალიბდეს.

– სადავო საკითხი გახდა დაკავებული პოლიტიკოსების განთავისუფლება. ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს საკითხი არ ყოფილა შეთანხმების ნაწილი. რა მოლოდინი გაქვთ, განთავისუფლდებიან?

– პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ იქნება მიღებული ამ ადამიანების გასათავისუფლებლად, მექანიზმები მოიძებნება. მე არ მიმაჩნია, რომ ხელისუფლებას ამ ადამიანების განთავისუფლება რაიმე სახის პრობლემას შეუქმნის. ეს ნამდვილად არ იქნება მისი მხრიდან პოლიტპატიმრების არსებობის აღიარება.

მეტიც, ეს პოლიტიკოსები არ არიან იმ დონის ფიგურები, რომ მათმა განთავისუფლებამ არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. პირიქით უფრო მგონია. თუ ხელისუფლება მათ პატიმრობაში დატოვებს, მაშინ ოპოზიცია ამ საკითხს უფრო დაიხვევს ხელზე და უფრო გამოიყენებს წინასაარჩევნოდ.

„ოცნება“ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებს“

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილის გარეშე ეს შეთანხმება ვერ შედგებოდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა, თუმცა სხვადასხვა შეფასება მოვისმინეთ პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გვარები არ გაჟღერებულა, გიორგი ვაშაძემ იცრუაო. რამდენად უშვებთ, რომ ისევ მოხდეს გადაგდება „ოცნების“ მხრიდან?

– პოლიტპატიმრებზე, დიდი შანსია, რომ გადაგდება მოხდეს, მაგრამ საარჩევნო სისტემაზე აღარ მგონია, რამე შეიცვალოს. ეს კატასტროფული თავის შერცხვენა იქნება, ამ ყველაფრის შემდეგ, ამხელა ვაჭრობის და შუამავლობის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწიეს შეთანხმებას.

მათი მხრიდან ზაფხულში პროპორციულის შემოგდება ნაჩქარევი აღმოჩნდა, ბევრი რამ ვერ გათვალეს, თუმცა ასევე ნაჩქარევი იყო მისი უკან წაღება. შეეშინდათ და უკან წაიღეს. ხოლო ეს 120/30-ზე იმდენი ხნის ვაჭრობის, მოლაპარაკებისა და გარიგების შედეგია, რომ მას ასე მალე უკან ვერ წაიღებენ.

– რამდენად დიდი იყო ამერიკის ელჩის და ზოგადად ევროპული ქვეყნების ელჩების როლი ამ ყველაფერში?

– ამ სიტუაციაში კარგად გამოჩნდა, რომ როდესაც ამერიკას ჩვენს ქვეყანაში ელჩი ჰყავს, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად მიდის.

– რატომ დათმო „ქართულმა ოცნებამ“, სანქციების შეეშინდათ?

– ყველაფრის ერთად შეეშინდა. „ოცნების“ ხისტი პოზიცია იყო ბაქი-ბუქი და სხვა არაფერი, რომ უკან არ დაეხიათ. ცდილობდნენ, დაეშინებინათ ოპოზიცია, რომ ჩვენ არაფერს დავთმობთო. სულ ეს იყო, მეტი არაფერი.

– 1%-იანი ბარიერი, 40%-იანი ჩამკეტი სისტემით და 120/30-ზე – ეს ყველასთვის მისაღები იქნება?

– ეს სისტემა ნორმალურია, პრინციპში ოპტიმალურია არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და გეტყვით, რასაც ვგულისხმობ. ამ სიტუაციაში ამაზე მეტის მიღება ალბათ შეუძლებელი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ „ოცნებას“ არ უნდა ხელისუფლების დაკარგვა და ეს ბუნებრივია. შესაბამისად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ და რაც მივიღეთ, მართლაც რომ კარგია!

ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ არ მოხდა კატასტროფული გაყალბება და ტერორი არჩევნების დროს ხელისუფლების მხრიდან.

– „ქართული ოცნება“ აცხადებს, თავისუფლად ავიღებთ 40%-ს და მეტსაცო. ასე დარწმუნებულები რატომ არიან?

– თუ არ ეშინიათ და თუ დარწმუნებულები არიან, რომ აიღებენ, მაშინ ნუ გააყალბებენ. ჩვენც ეგ გვინდა, რომ ნორმალურად და გაყალბების გარეშე ჩაიაროს არჩევნებმა. თუ მოიგებენ გაუყალბებლად, მაშინ ღმერთმა შეარგოთ!

– ზოგიერთი ექსპერტის მხრიდან გაჟღერდა მოსაზრება, რომ 1%-იანი ბარიერის პირობებში, შესაძლოა, ოპოზიციამ კოორდინირებულად აღარ იმუშაოს და ყველამ საკუთარი საარჩევნო კამპანია აწარმოოს და ცალკე გავიდეს არჩევნებზე.

– იმ ფონზე, რა მიღწევაც შედგა, ეს თემა უკვე მეორეხარისხოვანია. თუ ეცდება და ოპოზიცია მოახერხებს საერთო ენის გამონახვას, ხომ კარგი, თუ ვერ მოახერხებს, ეს მისი პრობლემაა.

ამ ეტაპზე. არის მოლოდინი, რომ მაჟორიტარებზე შეთანხმდებიან, სხვანაირად „ოცნებას“ ვერ დაუპირისპირდებიან, რადგან ხელისუფლებას დიდი რესურსი აქვს.

– პოლიტპატიმრების საქმეებზე რას იტყვით? ხედავთ იმის მზაობას, რომ პრეზიდენტმა შეიწყალოს უგულავა?

– უგულავას გამოშვება საკმაოდ რთული იქნება. ის შეაბრუნეს და, ბუნებრივია, შებრუნება არ მომხდარა შემთხვევით. ბიძინამ ჩათვალა, რომ უგულავამ გარიგება დაარღვია. უგულავა გამოუშვა იმ პირობით, რომ ის პოლიტიკურად არ იაქტიურებდა, მაგრამ მან იაქტიურა. ამიტომ გადამგდებად ჩათვალა უგულავა და შეაბრუნა უკან. შესაბამისად, უგულავას საქმე შედარებით მძიმეა. გაცილებით მძიმე, ვიდრე რურუასი.

– მაშინ რა იქნება?

– იმაზე მაინც იქნება ლაპარაკი, რომ სხვები არ დაიჭირონ. ესეც კარგი მიღწევა იქნება.

– ანუ, შესაძლოა, ნიკა მელია გადაურჩეს ციხეს?

– მე ასე მგონია, რადგან ამ ეტაპზე ნიკა მელიას ჩასმა ძალიან მძიმე პროცესი იქნება „ოცნებისთვის“.

– შესაძლოა, არც ხაზარაძე-ჯაფარიძე ჩასვან?

– ასე მგონია, რომ არ დაიჭერენ. ამ კომპრომისის მერე, რაზეც უკვე წავიდა ხელისუფლება, ძალიან რთული იქნება მათთვის მსგავსი ნაბიჯები. რომ იტყვიან, საშარო საქმე იქნება.

– ირაკლი ოქრუაშვილის გამოშვების შანსს ხედავთ?

– მე მგონი, მასაც გადამგდებად განიხილავს ივანიშვილი. შესაძლოა, არჩევნებამდე გააჯანჯლონ პროცესი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ გამოუშვან. ასე ვთქვათ, მაშინ, როდესაც ისინი უკვე ზიანს ვეღარ მოიტანენ.

ერთს ვიტყვი, დღეს დასავლეთიდან უკვე გვილოცავენ და მართლა მოსალოცად გვაქვს საქმე, რომ თავიდან ავიცილეთ არჩევნების დელეგიტიმაცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– გაყალბების მექანიზმისგან რამდენად კარგად იქნება პროცესი დაცული?

– რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ იქნება დაცული. ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იგივე უცხოელების ჩართულობაზე, რომ მაქსიმალურად მკაცრი მონიტორინგი იყოს. სამწუხაროდ, ამისგან არანაირად არა ვართ დაცული.

– რამდენი პროცენტის აღება შეუძლია „ოცნებას“?

– დღევანდელი გადასახედიდან 30-დან 40%-მდე. გააჩნია, როგორ წავა პროცესები.

– მაჟორიტარები ისევ ხომ არ აუჯანყდებიან „ოცნებას“? კახა ოქრიაშვილი აცხადებს, ამ სისტემას მხარს არ დავუჭერო.

– არ მგონია, ბიძინას გარეშე რამის თავი ჰქონდეთ და რამე გაბედონ, ყოველ შემთხვევაში, მათი ბუნტი გადამწყვეტი ნამდვილად ვერ იქნება.

ეს იყო ბიძინა ივანიშვილის თანხმობა, ის დაყაბულდა ამ სისტემით ჩატარებას და დანარჩენებიც ერთხმად დათანხმდნენ.

ბიძინას გარეშე ეს შეთანხმება არ იქნებოდა!

კორონავირუსის გამო, განათლების სამინისტრომ შესაძლოა, ონლაინ სწავლების სტანდარტზე მუშაობა დაიწყოს



ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის, განათლების სამინისტრომ შესაძლოა, ონლაინ სწავლების სტანდარტზე მუშაობა დაიწყოს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში“ განუცხადეს, იქედან გამომდინარე, რომ შექმნილი რეალობის წინაშე ქვეყანა პირველად აღმოჩნდა, საქართველოში ონლაინ სწავლების სტანდარტი არ არსებობს.

– დისტანციური სწავლების პროცესის სტანდარტი არ არსებობს. ამ რეალობის წინაშე პირველად ახლა დავდექით. ალბათ, სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვლება და ხვალ ამ მიმართულებით შესაძლოა, რამე მოხდეს. სკოლის შემოწმების ან ავტორიზაციის დროს, დისტანციური სწავლების სტანდარტი ან კომპონენტი იყოს, ამ ეტაპზე არ არსებობს. თუ სტანდარტი არ არის, ე.ი. არც აკრძალული აქვთ სკოლებს მსგავსი სწავლების მოდელის გამოყენება. თუ სერიოზული საფრთხის წინაშე დავდექით, სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება შემუშავდეს. სავარაუდოდ, განათლების სამინისტრო და სახელმწიფო ერთიან ხედვაზე იმუშავებს. მსგავსი ჩანაწერი კანონში ჯერჯერობით არ არის, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში.

ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით განათლების უწყებას ოფიციალური განაცხადი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. თუმცა, უწყებაში აცხადებენ, რომ ისინი ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად იმოქმედებენ, თუ ამის საჭიროება დადგება. კერძოდ, „ინტერპრესნიუსს“ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განუცხადეს, რომ თუ ჯანდაცვის სამინისტრო სწავლის გახანგრძლივების გადაწყვეტილებას მიიღებს, კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით, განათლების უწყება მას დაემორჩილება.

ამასთან, განათლების უწყებაში განმარტავენ, არსებული გადაწყვეტილებით სკოლებში სწავლა 16 მარტს განახლდება.

რაც შეეხება ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლას, უწყებაში აცხადებენ, რომ ჯერჯერობით ეს საკითხი საჯარო სკოლებისთვის არ განიხილება.

„განათლების სამინისტრომ კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 9 მარტიდან 16 მარტამდე დაგეგმილი არდადეგები, 4 დღით უკვე გაახანგრძილვა. სკოლებმა არდადეგები დაგეგმილზე ადრე დაიწყეს. ეს არდადეგები, ბუნებრივია, ანაზღაურდება. რაც შეეხება სამომავლო გეგმას, დამოკიდებული ვართ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციაზე და თუ უწყების რეკომენდაცია იქნება, არდადეგები გახანგრძლივდება და განათლების სამინისტრო ამ რეკომენდაციას შეასრულებს. რა ფორმით მოხდება ეს, არდადეგები გახანგრძლივდება, დისტანციურად ასწავლიან თუ ა.შ., ამ გეგმას აუცილებლად გაგაგებინებთ. თუ გვეტყვის ჯანდაცვის სამინისტრო, რომ არდადეგები უნდა გავახანგრძლივოთ, ბუნებრივია, გავახანგრძლივებთ და მერე მოვიფიქრებთ, რა ვქნათ სწავლებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ვიცით, რომ სწავლა 16 მარტს დაიწყება, – განაცხადეს განათლების უწყებაში.

ცნობისთვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ჯანდაცვის უწყებასთან შეთანხმებით, სწავლის პროცესი სკოლებში 2 მარტიდან 16 მარტამდე შეწყვიტა. სააღმზრდელო პროცესი ასევე შეწყვეტილია ბაგა-ბაღებში. 16 მარტამდე არ განახლდება სწავლა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ უნივერსიტეტებს მოუწოდა, თუ აქვთ ტექნიკური საშუალება, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის გამო, ონლაინ სწავლებაზე გადავიდნენ, რასაც სასწავლებლების ნაწილი დათანხმდა.

ახალგაზრდა ქალისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 3 პირი: 1991 წელს დაბადებული ა.ა., 1995 წელს დაბადებული პ.ა. და 1995 წელს დაბადებული გ.ი., წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, წალკის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ა.-მ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ორ თანამზრახველთან ერთად, ქორწინების მიზნით, ძალადობრივი გზით, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება 2001 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს და წალკის მუნიციპალიტეტის მიმართულებით წაიყვანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერის დარღვევის ბრალდებით 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული რ.ს. შემაკავებელი ორდერის დარღვევის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა არ შეასრულა იმ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელიც სამართალდამცველებმა მის მიერ ცოლის – 1987 წელს დაბადებული ნ.ს.-ს მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის გამო გამოსცეს.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 381 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

რა გზით ჩამოიყვანეს იტალიიდან საქართველოს მოქალაქეები

საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის განცხადებით, იტალიაში, სხვადასხვა ქალაქში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ჯერ რომში, რომიდან კი საქართველოში ჩამოიყვანენ.

როგორც დავით ზალკალიანმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, სახელმწიფოს ხარჯით, მოქალაქეებს უახლოეს დღეებში ჩამოიყვანენ.

– იტალიაში საქართველოს საელჩოში დამატებით ამოქმედდა 4 ცხელი ხაზი, იმისთვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქის იდენტიფიცირება მომხდარიყო, რომელთაც უახლოესი ორი კვირის ბილეთები ჰქონდათ. პროცესი უკვე დასრულებულია. საელჩოში იმ ადამიანები სია არსებობს, რომლებიც იტალიის სხვადასხვა ქალაქში იმყოფებოდნენ და ჰქონდათ საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთები. მოხდება მათი ორგანიზებული ჩამოყვანა რომში, რადგანაც რეისი განხორციელდება რომიდან. საქართველოს საელჩო რომში მუშაობს იმისთვის, რომ ისინი ორგანიზებულად ჩამოიყვანონ. ვფიქრობ, რომ უახლოეს დღეებში მოხდება მათი რომიდან საქართველოში დაბრუნება და ამას ყველაფერს სახელმწიფო უზრუნველყოფს, – განაცხადა ზალკალიანმა.

ცნობისთვის, საქართველომ ჩინეთისა და ირანის შემდეგ, იტალიასთან ფრენები შეაჩერა.

საგადასახადო სამართალდარღვევის 242 ფაქტი გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 242 ფაქტი გამოვლინდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3.091 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები:

საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 44 შემთხვევა, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 10 შემთხვევა, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 188 შემთხვევა.

გაგი მოსიაშვილი: „მოწმეების ჩვენებები ჩოლოიანის უდანაშაულობას ადასტურებს“

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული გამომძიებლის, მარიანა ჩოლოიანის ადვოკატის, გაგი მოსიაშვილის განცხადებით, გუშინ, 9 მარტს, დაკითხული ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებები ჩოლოიანის უდანაშაულობას ადასტურებს.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, მოწმეთა მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია არა ბრალდების მხარეს, არამედ დაცვის მხარეს გამოადგება.

– ბრალდების მოწმეები დაიკითხნენ პროცესზე, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ბრალდების მოწმეებმა სასამართლოს მიაწოდეს ის ინფორმაცია, რაც გამოადგება არა ბრალდებას, არამედ დაცვას მარიანა ჩოლოიანის უდანაშაულობის დასადასტურებლად.

კერძოდ, ბრალდების მოწმეთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია მარიანა ჩოლოიანის უდანაშაულობას ადასტურებს, ვინაიდან დახურულია პროცესი და შინაარსობრივ მხარეში ვერ შევდივარ, ორი მთავარი სიტყვა, რაც შეიძლება ვთქვათ, გახლავთ ის, რომ ინფორმაციით, რომელიც მათ მიაწოდეს, არ დასტურდება ჩოლოიანის ბრალეულობა, სამართლებრივი შეფასება რომ გავაკეთოთ. აქედან გამომდინარე, სწორედ ამას ვიძახი, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა ერთობლიობა და მტკიცებულებათა ჯაჭვი ან უნდა დადასტურდეს, ან უარყოფილ უნდა იქნეს, – განაცხადა ადვოკატმა.

საქმის პროკურორ ლევან ქუთათელაძის განცხადებით, პროცესზე ორი მოწმე, პოლიციის ორი თანამშრომელი დაიკითხა, რომლებიც 2019 წლის 10 დეკემბერს სამსახურში იმყოფებოდნენ და სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.

მისი თქმით, ეს ორი პირი ლუკა სირაძის გამოკითხვის პროცესს არ დასწრებია.

– სხდომები დახურულია და კონკრეტული ინფორმაციის მოწოდებისგან თავს შევიკავებ. პოლიციის თანამშრომლები გამოიკითხნენ საგამოძიებო უწყების თანამშრომლების მიერ, საუბარია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე. არც ერთი და არც მეორე პირი არ დასწრებია უშუალოდ ლუკა სირაძის გამოკითხვის პროცესს. შესაბამისად, ისინი სასამართლოში დაიკითხნენ იმ სხვა კონკრეტული გარემოებების დადგენის მიზნით, რომლებიც ასახულია ასევე ბრალდების შესახებ დადგენილებაში, რომელიც მარიანა ჩოლოიანს წარედგინა, – აღნიშნა პროკურორმა.

15 წლის მოზარდი ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი დააკავეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 19 დეკემბერს შეუფარდა.

29 წლის საბა თათეშვილი 45 წლის ვალერი შარტანოვის მკვლელობისთვისაა დაკავებული

რა მოხდა პაბლო პიკასოს ქუჩაზე

„ახალი თაობა“ უკვე წერდა 8 მარტს თბილისში, პაბლო პიკასოს ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ. მომხდარზე მოგვიანებით დამატებითი დეტალები გახდა ცნობილი.

როგორც ირკვევა, თავდასხმა მოხდა ცნობილი ბიზნესმენის ოჯახზე. მკვლელობაში ბრალდებულია საბა თათეშვილი, რომლის ოჯახიც შპს „საბა თაუერის“ მფლობელია. არაოფიციალური ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცს დილით დანით შეიარაღებული პირი თანხის გამოძალვის მიზნით თავს დაესხა და ჭრილობები მიაყენა, საპასუხოდ თათეშვილმა თავდამსხმელს ესროლა და მოკლა.

45 წლის ვალერი შარტანოვის ცხედარი 4-საათიანი საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

„კურიერს“ სანდო წყარომ უამბო, რომ მოკლულის დედა, პოლინა შარტანოვა, თათეშვილების ოჯახში დამხმარედ მუშაობდა. შვილმა დედას 8 მარტს გამთენიისას მიაკითხა და ფული მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი დედას ხელ-ფეხი შეუკრა და სახლის იზოლირებულ ნაწილში დატოვა. ამის შემდეგ კიბის გავლით სახლში შევიდა, მძინარე 29 წლის საბა თათეშვილს თავს დაესხა და დანით ჭრილობები მიაყენა.

ამის შემდეგ თათეშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით ისარგებლა და ვალერი შარტანოვს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ადვოკატი ამტკიცებს, რომ თათეშვილი თავის დაცვას ცდილობდა. მომხდარის ნაწილი ეზოსა და ჭიშკართან დამონტაჟებულმა კამერებმა დააფიქსირეს.

მკვლელობის შემდეგ, დილის 9 საათზე, საბა თათეშვილმა საცხოვრებელი სახლი დატოვა და პიკასოს ქუჩის გავლით ნუცუბიძის ქუჩაზე მივიდა, ავტომობილი გააჩერა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში წავიდა. ვინაიდან ადგილზე საკარანტინო ზონაა, მას სამედიცინო დახმარება ვერ გაუწიეს. 09:45 საათზე სასწრაფოს ბრიგადამ „ევექსის“ კლინიკაში მიიყვანა.

საბა თათეშვილი გამომძიებლებმა უკვე გამოკითხეს. ამ დრომდე ბრალდებული პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

საბა თათეშვილი და მოკლული ვალერი შარტანოვი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. დედასთან ერთად, შარტანოვი თათეშვილებთან თავადაც მუშაობდა და სახლის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ის სამსახურიდან 2008 წელს გაათავისუფლეს, გადაწყვეტილების მიზეზებზე ოჯახის ახლობლები ვერ საუბრობენ.

საბა თათეშვილი გავლენიანი ბიზნესმენის, შპს „საბა თაუერის“ მფლობელ თემურ თათეშვილის შვილია. თავდაპირველი ვერსიით, მომხდარი მამის ბიზნესსაქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა ადგილზე ამ ფაქტს არავინ ადასტურებს.

მოკლული ვალერი შარტანოვი მამასთან ერთად ჩაქვში ცხოვრობდა. მამამ შვილის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია დღის ბოლოს შეიტყო, მეზობლებმა კი არ იციან, ჰქონდა თუ არა მოკლულს ფინანსური პრობლემები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე საბა თათეშვილი დააკავა, ქირურგიულ განყოფილებაში მყოფი პირი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ადგილზე კი ექსპერტ კრიმინალისტები და გამომძიებლები მუშაობდნენ.

პოლიციამ ნივთმტკიცების სახით უკვე ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და დანა. გამომძიებლები უკვე სწავლობენ იმ ვიდეომასალას, რომელიც სათვალთვალო კამერამ დაფიქსირა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-მოხმარების, ასევე განზრახ მკვლელობით დაიწყო.

იმ შემთხვევაში, თუ საბა თათეშვილის ქმედებას ბრალდების მხარე თავდაცვად არ შეაფასებს, მას 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

პროკურორი დ.შ. 20.000 ლარი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ.შ., დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ პროკურორმა დ.შ-მ მისი საპროცესო ხელმძღვანელობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ბრალდებული პირისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, მოითხოვა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამი 50.000 ლარის ოდენობით.

ამასთან, პროკურორმა დ.შ-მ ადვოკატს განუმარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებულს არ გაუფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება. ბრალდებულის ოჯახის წევრი დათანხმდა პროკურორის მოთხოვნას და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ.შ-მ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, ბრალდებულის მამას და ადვოკატს ქრთამის სახით გამოართვა მთლიანობაში 20.000 ლარი. ქრთამის აღების დროს პროკურორი დ.შ. საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. ბრალდებულ დ.შ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს პროკურატურა მიმართავს, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. გვსურს განვაცხადოთ, რომ საქართველოს პროკურატურა კორუფციულ დანაშაულზე ახორციელებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას და შეურიგებელია მსგავსი ხასიათის დანაშაულების, მათ შორის, განსაკუთრებულად პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის მიმართ და ზემოხსენებული ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში პროკურატურას ექნება უმკაცრესი რეაგირება.

ასევე, ვთხოვთ საზოგადოებას, მსგავსი ფაქტების და ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის აღკვეთის და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას“ – აცხადებენ პროკურატურაში.

გიგი უგულავას აეროპორტის საქმეზე გირაო გაუუქმდა

გუშინ, 9 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის საქმეზე დაცვის მხარის შუამდგომლობა, გიგი უგულავასთვის აღკვეთი ღონისძიების გაუქმების თაობაზე, დააკმაყოფილა.

გარდა ამისა, მოსამართლემ გააუქმა უგულავას მიერ საგამოძიებო უწყებისთვის პასპორტის ჩაბარების ვალდებულება.

მოსამართლე დაცვის მხარის დასაბუთებას დაეთანხმა. ადვოკატმა გიორგი გელხაურმა პროცესზე განმარტა, რომ „ფონდების საქმეზე“ უზენაესი სასამართლოს განაჩენის შემდეგ, ამ საქმეზე აღკვეთის ღონისძიებისა და უგულავასთვის პასპორტის ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.

ბრალდების მხარე დაცვის მხარეს დაეთანხმა და აღნიშნა, რომ უგულავას მხრიდან საფრთხე აღარ მომდინარეობს, რადგან ის საპატიმრო დაწესებულებაშია.

თბილისის აეროპორტში 11 დეკემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, გიგი უგულავასა და ინციდენტის ერთ-ერთ მონაწილეს ბრალი ძალადობის მუხლით წარედგინათ, გოკა გაბაშვილი და ინციდენტის ასევე ერთ-ერთი მონაწილე დაზარალებულად ცნეს.

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, ორი უცნობი მამაკაცი გიგი უგულავასა და გოკა გაბაშვილს თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა.

უგულავას ამ საქმეზე გირაო ჰქონდა შეფარდებული და პასპორტი ჩამორთმეული.

დიდ დიღომში 13 ასურელი მამის სახელობის ტაძარი დაარბიეს

თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში 13 ასურელი მამის სახელობის ტაძარი ვანდალურად დაარბიეს.

ფაქტის ამსახველი ფოტოები მამა ნექტარიოს მჭედლიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა.

როგორც „რუსთავი 2“-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 19-117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

გამოხმაურება

„საქართველოს რესპუბლიკის, №36, 2020 წლის 27 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ადგურ არძინბას სტატია. უბრალოდ უხერხულია.

ადგურ არძინბა
„არავითარი დიალოგი საქართველოსთან, ისინი ჩვენი მტრები არიან“!

შენ, ადგურა ხარ თუ სადგურა, შე კრეტინო, უვიცო, არ გცოდნია აფხაზეთის ისტორია, მაშინ მე გასწავლი. როცა ბიზანტიელები შემოიჭრნენ აფხაზეთში, დიდმა ვახტანგ გორგასალმა სულ ცემა-ტყეპითა და ლანძღვით გარეკა აფხაზეთიდან და აფხაზებს შეუნარჩუნა ის მიწა-წყალი, რომელიც ისტორიულად საქართველოს მიწაა.

დავითგარეჯი წაიღო აზერბაიჯანმა, ხმას არავინ იღებს. ხელისუფლებას აღარ აინტერესებს საქართველო, ყველა ფულის კეთებაზეა გადასული. რამ მოგადუნათ ხალხნო?! იმის არ იყოს, სომხები იჩემებენ, თბილისი ჩვენი დაარსებულიაო, გავცეთ პასუხი ერთხელ და სამუდამოდ, ამოვიდა ყელში ამათი შოვინისტური ქმედება – თქვენი დაარსებული სომხური თეატრია ავლაბარში, ასკაცარ ცავატანენ!

მთავრობა ხმას არ იღებს.

საქართველო მტრების გარემოცვაშია. გარშემო სულ მტრები ჰყავს – რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რომელმაც დავითგარეჯი წაიღო – ეს ჩვენი მიწებიაო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ჩემი საყვარელი გაზეთია. რედაქტორები ჩემი ახლობელი ხალხია, მაგრამ გული დამწყდა, ამ ვიგინდარა ადგურ არძინბას რომ დაუბეჭდეთ „ქართველები ჩვენი მტრები არიანო“. პასუხს მიიღებს არძინბა „ახალი თაობის“ გაზეთში.

ბიძინას ვეკითხები, პრეზიდენტი რომ გვყავს, სალომე ზურაბიშვილი, ყოველდღე კაზინოში რომ დაბრძანდება, ვის ფულს ხარჯავს?!

იბო დოლიძე

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ლეოპარდმა ორი მოხუცი და ორი ბავშვი შეჭამა და სოფელში პანიკა დათესა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ხელისუფლებამ ოთხი ადამიანის, მათ შორის ბავშვების დაღუპვის შემდეგ კაციჭამია ლეოპარდზე ნადირობა გამოაცხადა. მტაცებლის ოთხივე მსხვერპლი ტუმკურის ოლქში ცხოვრობდა. ოქტომბერსა და ნოემბერში ლეოპარდმა ორი მოხუცი ადამიანი მოკლა და შეჭამა, რომლებიც თხებს მწყემსავდნენ. იანვარში ხუთი წლის ბიჭი დაიღუპა, 29 თებერვალს კი მტაცებელმა ცხოველმა სამი წლის ბავშვი დაგლიჯა, რომელიც თავისი სახლის წინ თამაშობდა. ლეოპარდმა სოფელში პანიკა დათესა.

– ღამით გარეთ გამოსვლის გვეშინია, ხოლო დღისით – მინდორში მუშაობის, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, – ბავშვების გარეთ სათამაშოდ გაშვების გვეშინია.

კაციჭამია ლეოპარდის საძიებო ოპერაციაში 50-მდე პოლიციელი და სატყეო მეურნეობის თანამშრომელი მონაწილეობს. მათ ასევე რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები შეუერთდა. ისინი ჩხრეკენ ტყეს, სადაც, სავარაუდოდ, მტაცებელი ბინადრობს. იმ ადგილებში, სადაც ხშირად ხედავდნენ ლეოპარდებს, 20 ხაფანგი დადგეს, რომლებშიც სატყუარებად თხები და ძაღლები მოათავსეს. ცხოველის გადაადგილებას თვალს 50 ვიდეოკამერა ადევნებს.

პირველი ლეოპარდის დაჭერა ბავშვის დაღუპვიდან რამდენიმე საათში მოხერხდა, თუმცა უცნობია, ის რამე კავშირშია თუ არა ამ ტრაგიკულ შემთხვევასთან.

– ჩვენ გავარკვიეთ, რომ ინციდენტის რაიონში, ტუმკურის ჯუნგლებში, 15-ზე მეტი ლეოპარდი ბინადრობს, მაგრამ არ ვიცით, რომლის ჩადენილია ეს მკვლელობები, – აცხადებს სატყეო მეურნეობის წარმომადგენელი.

ინდოელს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გრძელი კბილი ამოუღეს

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში კბილის ექიმმა პაციენტს 39 მილიმეტრი სიგრძის კბილი ამოუღო. ექიმის თქმით, მამაკაცმა მას კბილის თაობაზე ჩივილით მიმართა, რომელიც მისი აზრით, ცუდად გამოიყურებოდა და პრობლემებს უქმნიდა. მისი ამოღების შემდეგ გაირკვა, რომ პრობლემური კბილის სიგრძე თითქმის ორჯერ აღემატებოდა სიგრძეში დადგენილ ნორმას. ადამიანის კბილის საშუალო სიგრძე დაახლოვებით 20 მილიმეტრს შეადგენს. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ყველაზე გრძელ კბილს წარმოადგენს გერმანელი ექიმის მაქს ლუკასის მიერ ორი წლის წინ ამოღებული 37,2 მილიმეტრი სიგრძის კბილი. ასევე გინესის რეკორდების წიგნში მოყვანილია ყველაზე გრძელი სარძევე კბილის სიგრძეც, რომელიც 24 მილიმეტრს შეადგენდა.

ირანში 70.000 პატიმარი ციხეებიდან დროებით გაათავისუფლეს

ირანში 70.000 პატიმარი ციხეებიდან დროებით გაათავისუფლეს. ქვეყნის სასამართლო სისტემის უფროსის, იბრაჰიმ რაისის თქმით, პატიმრების დროებითი გათავისუფლება კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში მოხდა. ირანელ მაღალჩინოსანს არ დაუკონკრეტებია, როდის უნდა დაუბრუნდნენ აღნიშნული პირები ციხეებს.

ამასთან, ხელისუფლება მოსახლეობას აფრთხილებს, ირანული ახალი წლის პერიოდში, რომელიც 20 მარტსაა, თავი შეიკავონ მოგზაურობებისგან და სახლში დარჩნენ.

ბოლო ინფორმაციით, ირანში სულ კორონავირუსის 7.161 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 235-ს გადააჭარბა.

ჩინეთი უხანის პროვინციაში 11 კლინიკას ხურავს

ჩინეთი აპირებს, უხანის პროვინციაში საგანგებოდ გახსნილი 16 საავადმყოფოდან 11 დახუროს.

ამასთან, ცნობილი ხდება, რომ ქვეყანაში 1 დღის მანძილზე ახალი კორონავირუსის მხოლოდ 40 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო ადგილობრივად ვირუსის ტრანსმისია 0 იყო.

– ჩვენ სიფრთხილე მაინც უნდა შევინარჩუნოთ, ბრმად ოპტიმისტები არ უნდა ვიყოთ, – აცხადებს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჩენ იქსინი.

ჩინეთში ამ დროისთვის კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობამ 3.100-ს გადააჭარბა.

ტრამპი ბრაზილიის პრეზიდენტს შეხვდა

ბრაზილიის პრეზიდენტი ბოლონარუ აშშ-ს სამდღიანი ვიზიტით ეწვია. ის პირადად ტრამპმა მიიღო. მოლაპარაკების ძირითადი თემა ვენესუელის დიქტატორ მადუროზე ზეწოლის გაძლიერება და ამაში ბრაზილიელთა მონაწილეობა იყო.

აშშ რჩება ვენესუელის ოპოზიციის ლიდერის ხუან გუაიდოს უმთავრეს მოკავშირედ. სწორედ აშშ-მ მიაღწია იმას, რომ გუაიდოს 60-მდე ქვეყანამ გამოუცხადა მხარდაჭერა. ახლა ლათინურ ამერიკაში ერთიანი ანტიმადუროსეული ფრონტი უნდა შეიქმნას. მისი ერთ-ერთი საყრდენი კი ბრაზილია იქნება.

პორტუგალიის პრეზიდენტი თვითიზოლაციაში იმყოფება

პორტუგალიის პრეზიდენტი მარსელუ რებელუ დე სოუზა კორონავირუსის გამო თვითიზოლაციაში იმყოფება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მარსელუ რებელუ დე სოუზამ ყველა საჯარო ღონისძიება გააუქმა და რამდენიმე დღით შინიდან იმუშავებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ის გახლავთ, რომ ცოტა ხნის წინ 71 წლის პრეზიდენტმა იმ სკოლის მოსწავლეთა ჯგუფს უმასპინძლა, სადაც ერთ-ერთ მოსწავლეს კორონავირუსი აღმოაჩნდა და ამის გამო სასწავლო პროცესი შეწყდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე აღნიშნული მოსწავლე არ იმყოფებოდა, თუმცა მარსელუ რებელუ დე სოუზამ თვითიზოლაციის გადაწყვეტილება მიიღო, რომ ამ ნაბიჯით სხვებისთვის მაგალითი ეჩვენებინა. პორტუგალიაში კორონავირუსის 25 შემთხვევაა დადასტურებული. ქვეყანაში ვირუსისგან ჯერჯერობით არავინ დაღუპულა.

ლიდერებმა წააგეს და ცხრილში სიტუაცია დაიძაბა

ვეჩა-ბათუმი 84:82
(16:25, 28:25, 20:16, 20:16)

თბილისურმა ვერამ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონატის ლიდერი დაამარცხა. არადა, გია კაზანჯიანის გაწვრთნილი ბათუმი გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო წუთებზე დაშვებული შეცდომებისა და, რაც მთავარია, ვერელების შედეგიანობის გამო, შეხვედრა 82:84 წააგო. ძალიან საინტერესო გამოდგა ბოლო პერიოდი, რომელიც რამდენიმე წამის დაწყებული იყო, ვერელები პირველად რომ დაწინაურდნენ. მანამდე კი, 3 პერიოდის განმავლობაში, ბათუმი ლიდერობდა – ხან 5, ხან – 10 ქულით, ყველაზე დიდი სხვაობით კი მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე დაფიქსირდა – 36:20. ვერა კი, ის გუნდია, რომელიც ნებისმიერი სხვაობით ჩამორჩენისას იბრძვის და დიდი დეფიციტის აღმოფხვრაც ეხერხება. ასე იყო ამჯერადაც: ძირითადად უკანახაზელთა ხარჯზე – ბრენდონ სლაისა და გივი ბაქრაძის შედეგიანობით, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა ვერელებმა ჩამორჩენის გაბათილება იწყეს. დიდი შესვენებისთვის ზღვისპირელები 6 ქულასღა იგებდნენ, ხოლო მესამე ათწუთეულის 20:16 მოგებით ვერელებმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. როგორც მოგახსენეთ, ბოლო პერიოდის დასაწყისში ვერელები პირველად გავიდნენ წინ – სლაის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 67:66 გახდა, თუმცა ბათუმელებმა მყისვე საპასუხო გაქცევა მოაწყვეს და ნიკოლა ვუიოვიჩის, კოლინ მალკოლმისა და ლევან ელიაძის ქულებით 74:67 დაწინაურდნენ.

გადამწყვეტი გამოდგა მატჩის დასკვნითი 5 წუთი, რომლის განმავლობაშიც გამოსარჩევია გივი ბაქრაძის ჩინებული გარჯა. ვერელთა გამთამაშებელმა ბურთებიც ჩაჭრა, სამქულიან-ორიანებიც ჩააგდო და თავისი გუნდის გამარჯვებაშიც უდიდესი წილი დაიდო. ბოლო წუთი რომ დაიწყო, ანგარიში 80:80 იყო. ცხადი გახდა, რომ მატჩის ბედს 1 შეცდომა გადაწყვეტდა, თუმცა ბათუმელებმა ზედიზედ 2 შეტევაში ბურთი დაკარგეს, რითაც ჯერ ბაქრაძემ ზუსტი გარღვევით, შემდეგ კი სლაის (საჯარიმოებით) ისარგებლეს და საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე ვერას გასამარჯვებლად საკმარისი ლიდერობა დაუბევეს – 84:80.

ვერელებს 28 ქულით ბრენდონ სლაის ულიდერა. გივი ბაქრაძის ანგარიშზე 22 ქულა, 4 პასი და 3 ჩაჭრა დაგროვდა. 16 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა თბილისელთა ცენტრმა, ვენდელ ლუისმა, რომელიც მეორე ტაიმში თავისი გუნდის საიმედო დასაყრდენი იყო ბათუმელი მაღლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზღვისპირელთაგან 22 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო ნიკოლა ვუიოვიჩი გახლდათ, ხოლო კოლინ მალკოლმმა შეხვედრა 20 ქულითა და 5 პასით დაასრულა.

ჯაჯუსი-თსუ 81:73
(20:17, 20:18, 16:18, 25:20)

თსუ-მ ვერ ისარგებლა ბათუმის წაფორხილებით და მორიგი მარცხის შემდეგ კვლავ მე-2 ადგილზე დარჩა. 8-მატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მთავარი მწვრთნელი, ლექსო ლაფანაშვილი დაუბრუნდა, თუმცა ეს ბონუსი თსუ-სთვის წარმატების მომტანი ვერ აღმოჩნდა. კაკტუსმა, რომელიც პირველი წრის შემდეგ ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო, სიჩქარე აკრიფა, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ თსუ-საც სძლია და ცხრილის შუაში მყარად დამკვიდრდა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა დიდებულად ითამაშა, ტოლი არ დაუდო ცხრილში ბევრად მაღლა მყოფ მეტოქეს და გადამწყვეტ ეპიზოდში გამოჩენილი შესაშური შედეგიანობის დახმარებით ჩემპიონატში მე-7 გამარჯვება იზეიმა – 81:73.

კაკტუსის გამარჯვება თუკი ვინმეს დამსახურებაა, ეს უპირველესად მაიკ დევისია. ამერიკელი უკანახაზელი კაკტუსელებმა პირველი წრის შემდეგ დაიმატეს და მას შემდეგ ჟღენტის გუნდმა შედეგები ერთიორად გააუმჯობესა. დღევანდელი მატჩი კი დევისის სასუპერლიგო პიკი იყო. მაიკმა შეხვედრაში ყველაზე მეტი – 32 ქულა ჩააგდო, საიდანაც 11 – მატჩის ბოლო 5 წუთზე მოდის. აღნიშნულ პერიოდში დევისმა 3 სამქულიანი ჩააგდო და თანაბრად მიმდინარე შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე კაკტუსი 13 ქულით დააწინაურა – 81:68. მატჩის ბედიც აქ გაირკვა. თსუ-მ ბოლო 5 თამაშიდან მეოთხედ წააგო.

დევისს 32 ქულასთან ერთად 7 მოხსნა, 6 პასი და 6 ჩაჭრა ჰქონდა. 20 ქულით გამოირჩა ჯასტინ ევერეტი, 9 ქულა და 6 მოხსნა კი ირაკლი ბეშქენაძის ანგარიშზე დაგროვდა. თსუ-ში 15 ქულით ბომბარდირი გახდა ლუკა ზაქრაძე. 14 ქულა ერთბაშად 3 კალათბურთელს დაუგროვდა – გიორგი კორსანტიას, სანდრო სანაძეს და ჯიბრილ ფოლკერს.

ცხუმ აფხაზეთი-ქუთაისი 69:73
(25:19, 10:12, 15:24, 19:18)

ბოლო ადგილზე მყოფმა ცხუმელებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და მთელი პირველი ტაიმი, მესამე პერიოდის ნახევარიც, ამარცხებდნენ ქუთაისელებს. იმერული კლუბი მძიმედ, მაგრამ სტაბილურად მისდევდა კუდში მასპინძლებს და ბოლო პერიოდის დაწყებამდე გადაასწრო კიდეც. ცხუმ-აფხაზეთის მოთამაშეებმა, რომლებიც ბოლო პერიოდის ახალდაწყებულზე 10 ქულით აგებდნენ, ფარ-ხმალი არ დაყარეს, ამერიკელი ლეგიონერების შედეგიანობითა და ქართველების ბრძოლისუნარიანობით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და ბოლო წუთზე შეტევაც მათი იყო. ქუთაისელთა სტაბილური დაცვის ძალაც აქ გამოჩნდა, რომლებმაც ზედიზედ 2 შეტევა მოიგერიეს, თავად კი შეტევაში იხეირეს და გამარჯვებამდე მივიდნენ – 73:69. რიონისპირელთაგან 22 ქულით ჯეიმს მილიკენი გამოირჩა, ხოლო გიორგი ბარბაქაძემ საერთო საქმეს ხელი 17 ქულით წააშველა. ცხუმ-აფხაზეთში 16 ქულით საუკეთესო იყო დევიდ როლინსი.

ტიტები-დინამო 66:73
(32:15, 14:25, 7:17, 13:16)

რაც შეეხება ტიტებისა და დინამოს დაპირისპირებას, ძალიან უცნაური სცენარით წარი-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაეღლდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ფავორიტებმა მოგება გადადეს

დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 1:1
თბილისი. დინამო არენა
0:1 ჯიღაური (50), 1:1 ნინუა (55პ)

დინამო (თბ): კვასხვაძე, ლოჩოშვილი, კობოური (იაშვილი 72), ბენაო, ტრუბოჩკინი, ნინუა, შულაია (აზაროვი 78), პაპავა, კუცია, ბუღრიძე, ორშულა (ზარია 67)

დინამო (ბთ): ალავიძე, გეგეჭკორი, გაგოშიძე, ობოაბონა, ნავალოვსკი, ცინცაძე (ტეიდი 62), ჯიღაური, გონსალვესი, მანჯგალაძე (თევდორაძე 89), მამუჩაშვილი, დვალიშვილი (საბანაძე 67)

ეროვნული ლიგის მეორე ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო არენაზე“ გაიმართა, სადაც თბილისის დინამომ ბათუმის დინამოს უმასპინძლა. პირველ ტურში ორივე გუნდმა დებიუტანტებთან დაკარგა ქულები და, შესაბამისად, ორივე მათგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო 3 ქულის მოპოვება, მაგრამ ეს ამოცანა მომდევნო ტურისთვის გადაიდო.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა. მატჩი დედაქალაქელებმა აქტიურად დაიწყეს. გამოსარჩევია ნიკა ნინუას ძლიერი დარტყმა, რომელიც მიხეილ ალავიძემ კუთხურზე მოიგერია. 27-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გახსნა მართებდათ: ნინუას ჩაწოდებულ საჯარიმოს ლუკა ლოჩოშვილი ქუსლით აგვირგვინებდა, ბურთი კი სულ ოდნავ აცდა ბათუმელთა კარის ჩარჩოს. მალევე ბათუმელთა მეკარემ იმავე ლოჩოშვილის შორიდან ძლიერად დარტყმული უკუაგდო კუთხურზე. საპასუხოდ როინ კვასხვაძემაც გამოავლინა თავისი ოსტატობა, როდესაც ვლადიმერ დვალიშვილის თავური მოიგერია. ტაიმის ბოლოს მარცხენა ფრთიდან დავით კობოურის ჩაწოდებულ ბურთს ფილიპ ორშულა თავით გზავნიდა კარისკენ, ბურთი ალავიძემ მოიგერია და პირველი ტაიმიც დასრულდა.

მე-2 ტაიმის სტარტზე მასპინძელთა კუთხურის შემდეგ გიორგი პაპავას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ არაზუსტად ითამაშა. საპასუხოდ კი ბათუმელებმა გახსნეს ანგარიში. ვაგნერ გონსალვესის ძლიერი დარტყმული როინ კვასხვაძემ უკუაგდო, დამატებაზე კი ჯაბა ჯიღაურმა ითამაშა ზუსტად. მასპინძლებმა სტატუს ქვო 5 წუთში აღადგინეს. აკაკი შულაიას ჩაწოდებულის შემდეგ ვლადიმერ მამუჩაშვილს საჯარიმოში ხელზე მოხვდა ბურთი, პენალტი კი ზუსტად ნინუამ შეასრულა. ამის შემდეგ თამაში უფრო ხისტად გაგრძელდა, ორივე გუნდი მოედნის ცენტრში ცდილობდა სათამაშო უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

თელავი-დიღა 1:1
თელავი, კავკასიონი არენა
1:0 რუხაძე (30, პენ.), 1:1 სპანდერაშვილი (89)

საფეხბურთო კლუბმა თელავმა ეროვნულ ლიგას პირველად უმასპინძლა. „კავკასიონი არენას“ სარაგბო არენაზე ანშლაგი იყო. თუმცა, ეს მასპინძლებს 3 ქულის მოპოვებაში ვერ დაეხმარა.

რევაზ გოცირიძის გუნდმა გორის დილასთან მატჩი ძალიან აქტიურად დაიწყო. მასპინძლების შეტევებს 30-ე წუთზე გორელთა კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, რომელიც ირაკლი რუხაძემ ზუსტად შეასრულა. გატანილი გოლის შემდეგ მასპინძლების უპირატესობა თვალსაჩინო გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დილას ფეხბურთელი გაუძევეს. თამაშის სცენარიდან გამომდინარე თითქოს თელავის მიერ 3 ქულის მოპოვებას ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ მატჩის მიწურულს გიორგი ნემსაძის გუნდმა მაინც მოახერხა გოლის გატანა და ნუგზარ სპანდერაშვილმა ანგარიში გაათანაბრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩი ნერვიულ ფონზე წარიმართა და რამდენჯერმე შეხლა-შემოხლასაც ჰქონდა ადგილი.

სატუნირო ცხრილი:

1.ლოკომოტივი	2	2	0	0	6-2	6
2.საბურთალო	2	1	1	0	2-1	4
3.დილა	2	1	1	0	3-1	4
4.სამგრდია	2	1	0	1	2-3	3
5.დინამო (ბთ)	2	0	2	0	1-1	2
6.თელავი	2	0	2	0	1-1	2
7.დინამო (თბ)	2	0	2	0	1-1	2
8.მერანი	2	0	2	0	0-0	2
9.ჩიხურა	2	0	0	2	2-5	0
10.ტორპედო	2	0	0	2	0-3	0

ლიდერებმა წააგეს და ცხრილში სიტუაცია დაიძაბა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მართა. თავიდან ტიტებს თამაში ისე წაუვიდა, ბევრს აფიქრებინა, რომ იოლ გამარჯვებას მიითვლიდა, მაგრამ... პირველი პერიოდის შემდეგ 32:15 იგებდნენ, ხოლო მეორეში 18 ქულით – 35:17 დაწინაურდნენ. ტიტების ძირითადი იარაღი სამქულიანები იყო, რომელსაც ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილი გუნდი აღნიშნულ მომენტამდე დიდებულად ასრულებდა.

დინამოელებმა პერიმეტრი გადაკეტეს, მათი მწვრთნელი, მუჰამედ ტაჩი კი ხშირი როტაციით მეტოქეს შეტევაში გეგმებს უშლიდა. გამართული თამაშის წყალობით დინამომ ანგარიში მეორე პერიოდშივე გაათანაბრა, თუმცა ტიტები დიდ შესვენებამდე ლიდერის როლში ინერციით მივიდნენ – 46:40.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მაქსიმუმი იყო – მეორე ნახევარში დინამომ ლიდერობა მოიპოვა და ბოლომდე შეინარჩუნა. ტიტების მოთამაშეები ცდილობდნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ მეტოქის გუნდური და მიზანმიმართული მოქმედების წინააღმდეგ ვერას გახდნენ. ბოლო წუთებზე მუჰამედ ტაჩის გუნდის უპირატესობა 10 ქულას გადასცდა და გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა – 73:66 დინამოს სასარგებლოდ.

22 ქულით გამარჯვებულებს ტაილერ უილიამსმა ულიდერა. 15 ქულა ჰქონდა ლუკა ბულაშვილს. ტიტებში კი 18 ქულით ბომბარდირი გახდა ლუკ მეიერი, ხოლო კორი სპენსმა შეხვედრა 17 ქულით, 8 მოხსნითა და 6 პასით დაასრულა.

ხუსთავი-მგზავჩები 80:85
(22:18, 15:28, 24:20, 19:19)

ქვემო ქართლში სათამაშოდ ერთ-ერთი აუტსაიდერი მგზავრები ჩავიდა, რომელმაც რუსთავი დაძაბულ ბრძოლაში – 85:80 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ მგზავრებს 2 ტურის წინ მხოლოდ 3 მოგება ჰქონდათ და ბოლო ადგილზე მოზიარის გარეშე იყვნენ, თუმცა ბოლო 2 შეხვედრა მოიგეს და 15 მატჩიდან 5 მოგებით მე-8 ადგილზე გადაინაცვლეს. რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ მატჩებში (22 ტური) კიდევ ბევრი რამ მოხდება, თუმცა ფაქტია, რომ სუპერლიგაში დასარჩენად ბრძოლა უაღრესად დაძაბული იქნება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ ა ლიგაში ჩაინაცვლებს, ხოლო ბოლოსწინა დასარჩენად გადათამაშებას გამართავს.

რაც შეეხება რუსთავში გამართულ მატჩს, მას გულშემატკივრები არ დასწრებიან. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების რეკომენდაციით, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, სუპერლიგისა და ა ლიგის მატჩები დროებით მაყურებელთა გარეშე ტარდება. შესაბამისად, რუსთავს მოაკლდა ერთგული ქომაგი, რომელიც აქამდე ყველა მატჩზე ტრიბუნებს ბოლომდე ავსებდა.

სათქმელია, რომ რუსთავის გუნდი შეხვედრას დანაკლისით შეხვდა. განაცხადში არ იყო ეროვნული ნაკრების ტრავმირებული წევრი საბა ლობჟანიძე, გეგი ბაქრაძე და ავსტრალიელი გამთამაშებელი, ნელსონ როლინსი. მიუხედავად დანაკლისისა, რუსთაველებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს და პირველი პერიოდი 22:18 მოიგეს.

მეორე ათწუთეულიდან ამოქმედდა მგზავრების ნომინალური ცენტრი სოსო გოგნაძე, რომელსაც ფარქვეშ ხელს ტაჯ სპენსერი აშველებდა. თბილისელთა უკანა ხაზი კი ტრადიციულად მობილური და სწრაფი იყო, რის ხარჯზეც მგზავრებმა მეტოქე ჩამოიტოვეს და ხელჩასაჭიდ უპირატესობას დაეუფლნენ. მეორე პერიოდის ბოლო წამზე დარელ ქომსბის სამქულიანმა თბილისელებს დიდი შესვენებისთვის 10-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მესამე ათწუთეულიდან რუსთაველებმა ანგარიშის გასათანაბრებლად არაერთ გზას მიმართეს, რაც ეპიზოდებში ამართლებდა და სხვაობა მცირდებოდა, თუმცა მგზავრები არ ტყდებოდნენ და დაცვისა და სწრაფი შეტევების, ასევე პერიოდული ზუსტი სამქულიანების ხარჯზე ბოლო პერიოდამდე ლიდერობა არ დაუთმიათ.

მეოთხე მეოთხედი 2 წუთის დაწყებული იყო, როცა მგზავრების მთავარი მწვრთნელი, ბუბა ბერიშვილი მე-2 ტექნიკური ჯარიმის გამო თამაშიდან გავარდა. სწორედ ამ ტექნიკური ჯარიმის ზუსტი შესრულებით ნიკოლა ტადიჩმა ანგარიში გაათანაბრა – 68:68, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, აკაკი დვალიშვილის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ, მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე 74:72 დაწინაურებულ რუსთაველებს გამარჯვების რეალური იმედი ჩაესახათ.

აქ გათამაშდა საკვანძო ეპიზოდი, რომლის მთავარი გმირები მგზავრების წევრები – ტაჯ სპენსერი, ლოველ ქაბბილი და სოსო გოგნაძე გახდნენ. ამ მოთამაშეებმა მიყოლებით ჩაგდეს 8 ქულა და საფინალო სირენამდე 2.20 წუთით ადრე სტუმრები 80:74 დააწინაურეს. რუსთაველები არ დანებდნენ და დენზელ ლივინგსტონისა და ილია ლონდარიძის ძალისხმევით, დასრულებამდე 40 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრეს – 80:80. გადამწყვეტი აღმოჩნდა სოსო გოგნაძის მიერ ჯარიმის თანხლებით ჩაგდებული 2-ქულიანი, რის შემდეგაც სტუმრები 83:80 დაწინაურდნენ და როცა მგზავრებმა რუსთაველთა შეტევაც მოიგერიეს, გამარჯვებულის ვინაობა სათავისოდ გადაწყვიტეს.

მგზავრებში 22 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო სოსო გოგნაძე. 20 ქულა ჰქონდა ტაჯ სპენსერს, ხოლო ლოველ ქაბბილმა შეხვედრა 12 ქულითა და 10 პასით დაასრულა. რუსთაველთა გუნდში 17 ქულით, 6 მოხსნითა და 6 ჩაჭრით დენზელ ლივინგსტონი გამოირჩა. 18 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა ილია ლონდარიძემ, ხოლო ნიკოლა ტადიჩის ანგარიშზე 12 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ბათუმი	15	10	5	1303-1221	25
2.თსუ	15	9	6	1251-1186	24
3.ვერა	15	9	6	1152-1132	24
4.ქუთაისი	15	9	6	1207-1149	24
5.ოლიმპი	14	8	6	1079-1106	22
6.დინამო	14	8	6	1119-1175	22
7.კაკეტუსი	15	7	8	1136-1157	22
8.რუსთავი	14	6	8	1105-1079	20
9.მგზავრები	15	5	10	1182-1193	20
10.ტიტები	14	5	9	969-1023	19
11.ცხუმი	14	4	10	1010-1092	18

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

8 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-ევერტონი	4:0
მანჩესტერი-სიტი	2:0

სატუნირო ცხრილი:

1.ლივერპული	29	27	1	1	66-21	82
2.სიტი	28	18	3	7	68-31	57
3.ლესტერი	27	15	4	8	54-28	49
4.ჩელსი	29	14	6	9	51-39	48
5.მანჩესტერი	29	12	9	8	44-30	45
6.შეფილდი	28	11	10	7	30-25	43
7.ვულვზი	28	10	12	6	41-34	42
8.ტოტენჰემი	29	11	8	10	47-40	41
9.არსენალი	28	9	13	6	40-36	40
10.ბარნლი	29	11	6	12	34-40	39
11.კრ.პალასი	29	10	9	10	26-32	39
12.ევერტონი	29	10	7	12	37-46	37
13.საუთჰემპტონი	29	10	4	15	35-52	34
14.ნიუკასლი	29	9	8	12	25-41	35
15.ბრაიტონი	29	6	11	12	32-40	29
16.ბორნმუთი	29	7	6	16	29-47	27
17.ვესტ ჰემი	29	7	6	16	35-50	27
18.უოტფორდი	29	6	9	14	27-44	27
19.ასტონ ვილა	27	7	4	16	34-52	25
20.ნორვიჩი	29	5	6	18	25-52	21

ინგლისი. ჩემპიონლიგა

დერბი-ბლეკბერნი	3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-აუგსბურგი	2:0
მაინცი-ფორტუნა	1:1

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	16	4	4	73-26	55
2.დორტმუნდი	25	15	6	4	68-33	51
3.ლაიფციგი	25	14	8	3	62-26	50
4.ლევერკუზენი	25	14	5	6	45-30	47
5.გლადბახი	24	14	4	6	47-29	46
6.შალკე	25	9	10	6	33-36	37
7.ფრაიბურგი	25	10	6	9	34-35	36
8.ვოლფსბურგი	25	9	9	7	34-30	36
9.ჰოფენჰაიმი	25	10	5	10	35-43	35
10.კიოლნი	24	10	2	12	38-43	32
11.უნიონი	25	9	3	13	32-41	30
12.აინტრახტი	24	8	4	14	37-41	28
13.ჰერტა	25	7	7	11	32-48	28
14.აუგსბურგი	25	7	6	12	36-52	27
15.მაინცი	25	8	2	15	34-53	26
16.ფორტუნა	25	4	7	14	25-52	22
17.ვერდერი	24	4	6	14	27-55	18
18.პადერბორნი	25	4	4	17	30-54	16

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-აუე	2:1
ზანდჰაუზენი-ზ.პაული	2:2
კილი-ფიურტი	1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ესპანიოლი	1:0
ვალიადოლიდი-ბილბაო	1:4
ლევანტე-გრანადა	1:1
ვილიარეალი-ლეგანესი	1:2
ბეტისი-რეალი	2:1

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	27	18	4	5	63-31	58
2.რეალი	27	16	8	3	49-21	56
3.სევილია	27	13	8	6	39-29	47
4.ხეტაფე	27	13	7	7	37-25	46
5.ატლეტიკო	27	11	12	4	31-21	45
6.სოსიედადი	26	13	4	9	43-32	43
7.ვალენსია	27	11	9	7	38-39	42
8.ვილიარეალი	27	11	5	11	44-38	38
9.გრანადა	27	11	5	11	33-32	38
10.ბილბაო	27	9	10	8	29-23	37
11.ოსასუნა	27	8	10	9	34-38	34
12.ბეტისი	27	8	9	10	38-43	33
13.ლევანტე	27	10	3	14	32-40	33
14.ალავესი	27	8	8	11	29-37	32
15.ვალიადოლიდი	27	6	11	10	23-33	29
16.ეიბარი	26	7	6	13	26-39	27
17.სელტა	27	5	11	11	22-34	26
18.მალიორკა	27	7	4	16	28-44	25
19.ლეგანესი	27	5	8	14	21-41	23
20.ესპანიოლი	27	4	8	15	23-46	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რაიო-ელჩე	2:3
მალაგა-სარაგოსა	0:1
ალკორკონი-მირანდესი	1:2
ხიხონი-ლას პალმასი	4:0
ტენერიფე-პონფერადინა	1:0

იტალია. სერია ა

პარმა-სპალი	0:1
მილანი-ჯენოა	1:2
სამპდორია-ვერონა	2:1
უდინეზე-ფიორენტინა	0:0
იუვენტუსი-ინტერი	2:0

სატუნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	26	20	3	3	50-24	63
2.ლაციო	26	19	5	2	60-23	62
3.ინტერი	25	16	6	3	49-24	54
4.ატალანტა	25	14	6	5	70-34	48
5.რომა	26	13	6	7	51-35	45
6.ნაპოლი	26	11	6	9	41-36	39
7.მილანი	26	10	6	10	28-34	36
8.ვერონა	25	9	8	8	29-26	35
9.პარმა	25	10	5	10	32-31	35
10.ბოლონია	26	9	7	10	38-42	34
11.კალიარი	25	8	8	9	41-40	32
12.ფიორენტინა	26	7	9	10	32-36	30
13.სასუოლო	24	8	5	11	38-39	29
14.უდინეზე	26	7	7	12	21-37	28
15.ტორინო	25	8	3	14	28-45	27
16.სამპდორია	25	7	5	13	27-44	26
17.ლეჩე	26	6	7	13	34-56	25
18.ჯენოა	26	5	7	14	30-48	22
19.სპალი	26	5	3	18	20-44	18
20.ბრეშა	24	4	4	16	21-44	16

იტალია. სერია ბ

ვირტუსი-ასკოლი	3:0
იუვე სტაბია-სპეცია	3:1
ბენევენტო-პესკარა	4:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-ბორდო	1:1
რენი-მონპელიე	5:0
ლილი-ლიონი	1:0

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	27	23	2	3	75-24	70
2.მარსელი	28	16	8	4	41-29	56
3.რენი	28	15	5	8	38-24	50
4.ლილი	28	15	4	9	35-27	49
5.რეიმსი	28	10	11	7	26-21	41
6.ნიცა	28	11	8	9	41-38	41
7.ლიონი	28	11	7	10	42-27	40
8.მონპელიე	28	11	7	10	35-34	40
9.მონაკო	28	11	7	10	44-44	40
10.ანჟე	28	11	6	11	28-33	39
11.სტრასბური	27	11	5	11	32-32	38
12.ბორდო	28	9	10	9	40-34	37
13.ნანტი	28	11	4	13	28-31	37
14.ბრესტი	28	8	10	10	34-37	36
15.მეცი	28	8	10	10	27-35	34
16.სტ.ეტიენი	28	8	6	14	29-45	30
17.დიჟონი	28	7	9	12	26-37	29
18.ნიმი	28	7	6	15	29-44	27
19.ამიენი	28	4	11	13	31-50	23
20.ტულუზა	28	3	4	21	22-58	13

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-სპარტა	5:1
ფეინოორდი-ტილბურგი	2:0
ერაკლესი-ვალვაიკი	4:2
გრონინგენი-პსვ	0:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბელენენსეში-ფამალიკაო	0:0
მორეირენშე-მარიტიმუ	2:0
ჟილ ვისენტე-სანტა კლარა	1:1
სპორტინგი-ავეში	2:0
ფერეირა-გიმარაეში	1:2

ხუთეთი. პრემიერლიგა

რუბინი-კრილია	0:1
სოჭი-ურალი	2:0
ლოკომოტივი-ახმატი	1:0

მოტლანდია. პრემიერლიგა

როსი-რეინჯერსი	0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

მატერსბურგი-ლინცერი	0:1
ზალცბურგი-შტურმი	2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ქაისერი	5:1
რიზე-ალანია	1:1
სივასი-გალათასარაი	2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

კარვინა-პრჟიბრჟამი	2:0
ლიბერეცი-ოპავა	4:0
ტეპლიცე-სლოვაცკო	0:0
სლავია-სპარტა	1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-პოგონი	0:0
ვისლა-ლეხი	1:1
ლეგია-პიასტი	1:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ლვოვი-კარპატი	0:0
დნიპრო-მარიუპოლი	3:0
კოლოსი-შახტარი	3:4

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ესბიერგი	1:1
ოლბორგი-ლუნგბიუ	3:0
სონდერიისკე-ოდენსე	1:1
კოპენჰაგენი-ჰორსენსი	0:1
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ	2:2
რანდერსი-მიდტიულანდი	0:2

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლის“ ავტორი; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 7. გერმანელი ოპტიკო-მექანიკოსი, ოპტიკური მინების წარმოების დამფუძნებელი; 9. ვრცელი, უტყეო ბუნებრივი ზონა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. მკვრივი ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 15. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაუიანი თოფი.

თარაზულად: 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 8. გამოქვაბულებში მიწისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 21. ქალაქი ბასკეთში; 22. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 23. ირლანდიის დედაქალაქი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კარეტა; 4. მერქანი; 7. გრიალი; 9. როყინი; 11. ალუბალი; 12. ჟანგბადი; 13. ისხარი; 17. პრაიდი; 18. კოპი; 19. ალტიმეტრი; 20. პირამიდა.

შვეულად: 1. კინო; 2. ტვიდი; 3. მეისრე; 5. ემალი; 6. ნალბანდი; 8. ტელევიზორი; 10. კლასიკა; 12. ჟურნალი; 14. მანეჟი; 15. ლიმიტი; 16. ტაიგა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7748	ევრო — 3.1386
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6067	100 რუსული რუბლი — 4.0872

ამინდის პროგნოზი 10 მარტისთვის

2018311219661



10 მარტიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„დიდი სცენა“ მეორე სეზონს იწყებს

12 მარტიდან მუსიკალური შოუ „დიდი სცენა“ საქართველოში მოგზაურობას იწყებს და მოუსმენს ყველა იმ ადამიანს, ვისაც მიაჩნია, რომ უყვარს სიმღერა, რაც მთავარია, შეუძლია სიმღერა და დიდი სცენის მეორე სეზონის ათეულში ადგილს იმსახურებს.

12 მარტს პირველი შესარჩევი ტური თბილისში ჩატარდება. 13 მარტს „დიდი სცენის“ შემოქმედებითი ჯგუფი ქუთაისში ჩავა, 14 მარტს – ზუგდიდში, ხოლო 15 მარტს – ბათუმში.

„დიდი სცენის“ პირველი სეზონის გამარჯვებული ირაკლი კაპანაძე გახდა. მას სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად ბინაც გადაეცა.

თაზო თოლორაია 70 წლის გახდებოდა

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი თაზო თოლორაია 70 წლის გახდებოდა. თბილი, მხიარული, რომანტიკული, ლაღი და იუმორით აღსავსე ადამიანი – ასე ახასიათებენ მას კოლეგები და მეგობრები.

მსახიობი ყველაფერს იუმორით უყურებდა და სულ ამბობდა – ყველაზე კარგი გამოსავალი იუმორიაო. რთული სიტუაციებშიც კი იუმორი შველოდა და ამით კიდევ ერთხელ ამტკიცებდა თავისი მოსაზრების ჭეშმარიტებას.



თაზო თოლორაიას სავიზიტო ბარათად მისი ცხვირი იქცა, რომელმაც პროფესიულ საქმიანობაში არაერთი საინტერესო როლი განასახიერებინა.

„ბაკულას ღორები“, „ესმერალდა“, „წამება დედოფლისა“, „სისხლიანი ქორწილი“ – ეს იმ სპექტაკლების არასრული ჩამონათვალია, რომელშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო. რაც შეეხება კინოროლებს, ის პირველად ფილმში „ცისკრის ზარები“ გადაიღეს, რასაც მოჰყვა „ღიმილის ბიჭები“, „კუკარაჩა“, „ჯადოსნური ღამე“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“...

მიუხედავად იმისა, რომ თაზო თოლორაია კინოშიც აქტიურად მუშაობდა, მისი მთავარი საქმე მაინც თეატრი იყო. მსახიობი არ მალავდა, რომ იმ დღეს დღედ არ მიიჩნევდა, როდესაც თეატრში რეპეტიციები არ ჰქონდა. მისთვის თეატრი სულ სხვა საფეხური იყო და ამაზე ყოველთვის ღიად საუბრობდა.

კოტე თოლორაიასა და თამარ სხირტლაძის ერთადერთი შვილი 54 წლის ასაკში უკურნებელი სენით გარდაიცვალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 მარტისთვის

ვერძი – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **კურო** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **ტყუპები** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **ლომი** – ნებისმიერ ერთობლივ პროექტზე მუშაობისას ყურადღებით იყავით. დიდია მოტყუების ალბათობა. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. გაღიზიანებული ხართ. ნუ იჯიუტებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იყავით გულწრფელი და კეთილგანწყობილი. პოზიტივი გადამდებია. **ღრიანკალი** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** – ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. მეგობრის რჩევა ძალზე წაგადგებათ. **თხის რქა** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოთ. დღეს დაშვებული შეცდომა თქვენს სამომავლო გეგმებზეც აისახება. **მერწყული** – ერიდეთ აგრესიულ გარემოს. მოულოდნელი ინფორმაცია მოვლენებს დააჩქარებს. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, რას მაჩუქებ 8 მარტს?
– პარიზი ხომ გიყვარს...
– ღმერთო ჩემო, ამას სერიოზულად მეუბნები?
– ბარსელონაც ხომ მოგწონს?
– ვერ ვიჯერებ! შენ საუკეთესო ქმარი ხარ მთელ მსოფლიოში!
– ჰო. ამაღამ პსჟ – ბარსელონა თამაშობს და ერთად ვუყურებთ მატჩს ტელევიზორში!

●●●

რჩევა მამაკაცებს:
– თუ გინდათ, რომ ცოლი სწრაფად გააღვიძოთ, სხვა ქალის სახელი დაუძახეთ ალერსიანად.

●●●

მოსამართლე დაზარალებულ ქალს ეკითხება:
– დაზარალებულო, როგორ გაგაუპატიურეს?
– გმადლობთ, კარგად...

●●●

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:
– შე ნაძირალავ, მთელი ორი კვირა სად დაეთრეოდი?!!!
– ძვირფასო, არ დამიჯერებ და გიგისთან ვიყავი, ცხვირი დააცემინა და ორი კვირით კარანტინში ვიყავით გამოკეტილები.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:
– ნასვამი ხარ?
– კი, ჩინელთან ერთად დავლიე, ამოვისუნთქო?

●●●

ნათესავი სეროჟას ეკითხება:
– რატომ ხარ უხასიათოდ?
– შვილი ცოლს ირთავს.
– მერე, მაგის გამო ხარ მოწყენილი, ვის არ მოუყვანია ცოლი, და პატარძალს რა ჰქვია?
– ალექსი.
– ჰოო, ნამდვილად არ არის სომხური სახელი.

●●●

პარკში ორი მამაკაცი სკამზე ზის. ერთ-ერთი თავის სმარტფონს ჩაჰკირკიტებს და დროდადრო წამოიძახებს:
– ოჰ, ეს უსაქმურები! ვირები! უტვინოები! დებილები!
გვერდით მჯდომი ეკითხება:
– მომიტევეთ და რაიმე სიახლეებია ჩვენი პარლამენტიდან?

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე...
– რაა???
– შემიძლია გითხრა, რომ ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, ნამდვილი გმირობაა!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტიბო კურტუამ ტრავმა მიიღო

მადრიდის რეალის მეკარემ ტიბო კურტუამ ბეტისთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო, თუმცა შეძლო შეხვედრის ბოლომდე დასრულება.

უცნობია, თუ რომელ ეპიზოდში მიიღო კურტუამ ტრავმა, თუმცა შესაძლოა მან ამ მიზეზის გამო 2 კვირა არ ითამაშოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ შეხვედრას გამოტოვებს.

ბეტისთან ტიბომ ორი გოლი გაუშვა, თუმცა მისი ბრალი არც ერთი არ იყო, მაგრამ რეალმა მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო და ლიდერობა დაკარგა.

თვითონ ბელგიელმა მეკარემ განაცხადა, რომ შეეცდება, ტრავმა მალე მოიშუშოს.

გვარდიოლა: „მანჩესტერ იუნაიტედთან მარცხი მალე უნდა დავივიწყოთ“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ იუნაიტედთან წაგებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ეს მარცხი მალე უნდა დაივიწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ პრობლემები შეექმნებათ:

– მინდა, რომ გულშემატკივარი დავამშვიდო, რადგან მიუხედავად მარცხისა, ჩვენ არ დავკარგავთ კონცენტრაციას და მომავალში მხოლოდ პროგრესისკენ ვიქნებით მიმართულები. მანჩესტერ იუნაიტედთან ცუდად ვითამაშეთ და ეს შეხვედრა მალე უნდა დავივიწყოთ, რადგან წინ უფრო მნიშვნელოვანი მატჩებია.

სიტი მანჩესტერ იუნაიტედთან 0:2 დამარცხდა.

პსჟ-დორტმუნდის შეხვედრა მაყურებლის გარეშე ჩატარდება



უეფამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ კორონავირუსის გამო პსჟ-ბორუსიას თამაში მაყურებლის გარეშე ჩაატაროს, რაც ფრანგული გუნდისთვის დიდი დარტყმა იქნება, რადგან მას აუცილებლად მოგება სჭირდება.

პსჟ-მ ყველაფერი სცადა, რომ მატჩი მაყურებლებით ჩატარებულიყო, მაგრამ ამაოდ.

პირველი შეხვედრა ბორუსიამ 2:1 მოიგო.

საფრანგეთში კორონავირუსით ამჟამად ათასზე მეტი ადამიანია დაავადებული.

ენტონი მარსიალი: „თავს კარგად ვგრძნობ“

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ფორვარდმა ენტონი მარსიალმა განაცხადა, რომ მისი კარგი თამაში იმის ბრალია, რომ ტრავმა საერთოდ არ აწუხებს. მარსიალმა მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ შეძლო თავის გამოჩენა და თქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესად ითამაშებს:

– როგორც იქნა, არაფერი არ მაწუხებს და ეს ჩემს თამაშზე ძალიან დადებითად აისახა. მომავალში მინდა, რომ მანჩესტერ იუნაიტედს კიდევ უფრო მეტი წარმატება მოვუტანო და გულშემატკივარი გავახარო.

რონალდინიომ, შესაძლოა, ციხეში 6 თვე გაატაროს

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა რონალდინიო და მისი ძმა პარაგვაიში ყალბი დოკუმენტების გამო დააკავეს და ისინი ამჟამად ციხეში არიან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ, შესაძლოა, ციხეში 6 თვე გაატარონ, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა. რონალდინიომ უკვე პირველი ფოტოც გაავრცელა ციხიდან, სადაც ის კვლავინდებურად მომღიმარი სახით არის, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში იმყოფება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ფუტკრებმა სახლის პატრონს სხვენში 45 კილოგრამი თაფლი დაუტოვეს

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში ფუტკრებმა მრავალბინიანი სახლის სხვენში უზარმაზარი სკა მოიწყვეს. მწერებთან ბრძოლის კომპანიის წარმომადგენლის რიჩ პერის თქმით, სახლის მფლობელმა მას იმის გამო მიმართა, რომ სავენტილაციო განყოფილებიდან გამოფრენილი ფუტკრები აწუხებდნენ. ისინი ადრე იმის გამო არ შეუნიშნავთ, რომ სახლი ცარიელი იყო და იქ არავინ ცხოვრობდა. დეზინსპექტორებმა გაარკვიეს, რომ სასტუმრო ოთახის თავზე ჭერში ათასობით იტალიური ფუტკარი იყო დაბუდებული.

– ჩვენ ჭერში 1,8 მეტრი დიამეტრის ხვრელი გავაკეთეთ, შემდეგ ვაფართოვებდით და ვაფართოვებდით, მაგრამ ფუტკრების სკა არადა არ მთავრდებოდა, – ყვება პერი.

მისი შეფასებით, ფუტკრებმა სახლში ბინა მინიმუმ ორი წლის წინ დაიდეს. 2,5 მეტრი სიგრძის სკა, რომელიც ფუტკრებმა ააგეს, ნაწილობრივ ცარიელი იყო, თუმცა ადრე შესაძლოა იქ 100-დან 150 ათასამდე მწერი ბინადრობდა. მათ მიერ დატოვებულ ფიჭებში 45 კილოგრამამდე თაფლი იყო დაგროვილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისსავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ცნობილი ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი; 22. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი.

თარაზულად: 1. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული მატონიზირებელი სასმელი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამერიკის აღმომჩენი ესპანელი ზღვაოსანი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა